

დავით-დეფი გოგიბედაშ- ვილი



daviT-defi gogibedaSvili: **P.S.**

ყველა უფლება დაცულია.

ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოკოპირის გადაღება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოკოპირის გადაღება და მაგნიტურ მატარებელზე ჩანერა, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საავტორო უფლების მქონე ნერილობითი ნებართვის გარეშე.

მხატვარი: მირანდა გედევანიშვილი

რედაქტორი: მახარე მაგალობლიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ვახტანგ ელერდაშვილი



გამომცემლობა „საარი“
ISBN 99928-39-89-9

დავით-დევი გობიბედაშვილი
30ლი

აკაკი წერეთლის
„გამზრდელი“

ყოველდღიურობა წინადადებაა და კაცის ცხოვრება ზოგჯერ ტექსტად აღიქმება, იკითხება, როგორც ბედისწერა, სადაც ყოველი სიტყვა მისივე საქციელითაა ნაწერი. საქციელი კი თავის საზღაურს ელის, როგორც წინადადება წერტილს, მრავალწერტილს თუ რომელიმე სასვენ ნიშანს, როგორც ჯილდოს ან სასჯელს, მაგრამ ტექსტი, მოულოდნელობებითაა სავსე, ყოველ აბზაცში თითქოს მახეა დაგებული, რასაც ან გვერდს უვლის ადამიანი, ან მასში ებმება, იმის მიხედვით, თუ როგორ კითხულობს ამ ტექსტს, და რამდენად ესმის, რომ მის შექმნაში თვითონვე იღებს მონაწილეობას.

ვინ იქნებოდა ადამიანი მეხსიერების გარეშე — ალბათ არავინ! რადგან მეხსიერება კაცის სახელის უცნაური უკვდავსამყოფელია, სწორედ იმ სახელის, რომელსაც ის თავისი საქციელით ირქმევს, და ატარებს მუდამ.

ყოველ ჩვენგანს ხომ თავისი წილი პასუხისმგებლობის ტვირთი აქვს, გაჩენიდან უკანასკნელ დღემდე. მაგრამ შეგვწევს კი შნო, ბოლომდე გავუძლოთ მას? რადგან თუ არსებობს განსხვავება ადამიანსა და დედამიწის ბინადარს შორის, არსებობს პასუხისმგებლობაც — ყოველი ფიქრის წინათმგრძნობი, ყოველი ნაბიჯის ზედამხედველი.

- გამარჯობა საფარბეგ.
- გაგიმარჯოს.

— პოემა „გამზრდელში“ შენი ბედი, შენი ძუ-ძუმტის ბათუს, მისი მეუღლის ნაზიბროლას და შენი გამზრდელის ჰაჯი-უსუბის ბედზეა გადაჯაჭვული.

— დიახ.

— პოემა ჰაჯი-უსუბის სიკვდილით მთავრდება, მაგრამ შენ რა ბედი გენია, არავინ იცის. მე ვგულისხმობ, მისი სიკვდილის შემდეგ რა ბედი გენია.

— გეტყვი ყველაფერს, მაგრამ რომ გაიგო, თუ შემდეგ რა მოხდა, კარგი იქნება იმას გახედო, მანამდე რაც იყო.

— ძიძიშვილთან ფაცხაში მისვლას გულისხმობ?

— თუნდაც. მე ღამე დავადექი მას თავზე, კოკისპირულ თავსხმაში და გრიგალში... იმ დღეს რა დამავინყებს...

— კი, ჯერ ვერ გცნობს, მაგრამ ნაბადს რომ მიაყუდებ და ეჩვენები, გაგეცინება კიდეც.

— ჰო, ვიხუმრე, ვითომ უცხო ვიყავი, მაგრამ ერთმანეთის დანახვა ორივეს გაგვიხარდა. გადავეხვიეთ.

— ბათუ ნაზიბროლას აღვიძებს, ულამაზეს მეუღლეს, ვახშმით უნდა გაგიმასპინძლდეს და მოგასვენოს.

— ასე იყო. მაგრამ მე უარს ვამბობ და იმას ვეუბნები, რისთვისაც მივედი.

— ზიახანუმთან, შენს სანატრელ ქალს უნდა მიჰკვარო აღმასხიტი ინალიფას ლურჯა ცხენი. ქალი გეუბნება — თუ გიყვარვარო და შენც აენთე.

— ავენთე, მაგრამ ინალიფა არავის უთმობს

თავის ბედაურს, გამაგიჟა ზიანხანუმმა, არ მეგონა, თუ ოდესმე ასე მომივიდოდა... და ისიც არ მეგონა... ბათუ და... ნაზიბროლა, რომ...

— რომ?.. ის საშინელება დატრიალდებოდა?

— ჰო, ესეც და სხვა დანარჩენიც. მოკლედ, ცხენის მოპარვა დამრჩა ერთადერთი გამოსავალი და ძიძიშვილთან ავედი დახმარების სათხოვნელად.

— ბათუ დაალონა უკულმართმა საქმემ, მაგრამ ძიძის შვილს შენი ესმის, რადგან სიყვარულის ტკბილი სენი შეგყრია.

— და მე, თავისთან ფაცხაში დამტოვა, თვითონ კი მარტო წავიდა — ჩვენში, როგორც უცხოს, აგებნევა გზა და კვალიო — მიტხრა, შენ აქ დარჩი, დაიძინე, გამოშუშდი ცეცხლის პირასო და... ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს შევწირავ შენს მეგობრობასო.

— შენ რჩები.

— მე ვნანობ... გესმის? ვნანობ, რომ დავრჩი, თუმცა... მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი.

— იქნებ ეცადო რაიმე ახსნა, თუნდაც ის შენი საქციელი, ან განცდები აღწერო.

— მიჭირს, მაგრამ შევეცდები...

ბათუ, იმ თავსხმაში და ქარბუქში მიდის ღამე და მხოლოდ გარიჟრაჟისას ბრუნდება ბედაურთან ერთად. ღამე კი... თავი მეზიზღება ამის გახსენებისას... თითქოს ეშმაკი შემიჩნდა და მეც ავეყვი ცდუნებას.

თავს რეტი დამესხა, რადგან ნაზიბროლას სახე, უმანკო, მიუწვდომელი სილამაზე — მისი ტუჩები, თვალები, თმა, რაღაც ჯადოსნური იყო და იმდენად აკრძალული, რომ მისი დაუფლება მომინდა. რამ

დამიბნელა სული, მითუმეტეს ბათუ, ჩემი ძიძიშვილი, ჩემი ძმა იყო. არ ვიცი... უცებ გავხელდი, აღარაფერზე ვფიქრობდი, ავენთე, ავინვი და მაცდურის იარაღი გავხდი, რომელმაც ჩემით გადააფურთხა ალბათ იმ ღამეს ზეცას.

— დილას, ბათუ მოდის და მძინარეს გპოულობს, ხოლო ნაზიბროლას — ჩუმად მტირალს, თმაგანენილს, სახედაკანრულს, იქვე აყრილ ქვეშაგებს ნახავს, ყველაფერს ხვდება... მეუღლეს ანუგეშებს, ჰკოცნის და აწყნარებს, სიზმარი იყო, შემდეგ შენ გაღვიძებს ნანახით მკვდარი, რეტლასხმული.

— ჰო, მალვიძებს! მეც მკვდარი ვარ, გგონია ჩემთვის ადვილი იყო? აზრზე რომ მოვედი, სიკვდილი ვინატრე.

— მაგრამ ბათუს მშვიდი სახე რომ დაინახე, გულზე მოგეშვა. მადლობა ღმერთს, — გაიფიქრე, — არაფერი შეუტყვია, თორემ ადგილზე მომკლავდაო.

— მაშინ ისიც ვიფიქრე, რომ ნაზიბროლამ არაფერი უთხრა-მეთქი, სჩანს, ნამუსი შეუნახავს და...

— და შენს საქციელს სამარცხვინოს, ვინ გაიგებს, ვინ დაგძრახავს? შენ მზად იყავი შემდეგაც ასე გეცხოვრა, კიდევ იგივე ჩაგედინა, თუ ნაზიბროლა ისევე ჩუმად იქნებოდა?

— არ ვიცი, ალბათ არა, რადგან ამის გაფიქრებისას ხომ შემეშინდა, ჩემმა სიმხდალემ გამახარა, არავინ არაფერი იცის-მეთქი, მაგრამ გარეთ როცა გამოვედით, თავზარი დამეცა.

— მას რომ ყველაფერი სცოდნია?

— ეგეც, და ისიც, თუ როგორ მომექცა, რამხელა ვაჟკაცი ყოფილა. გამაჟრჟოლა, პირი გამიშრა... მეთქი მომკალი, მომკალი-მეთქი!

— მაგრამ ბათუ გიშვებს.

— ჰო, მიშვებს, როგორც ნაბიჭვარს, რომ დავეკარგო, რომ არსად შევხვდე, გადავიხვეწო და, რაც მთავარია, ჰაჯი-უსუბთან წასვლას მავალებს, რომ საკუთარი პირით ვუთხრა ჩემს გამზრდელს, ჩემი საქციელი.

— რატომ მოიქცა ბათუ ასე, შენ როგორ ფიქრობ?

— იმიტომ, რომ ის ჩემნაირი არ არის, ვაჟკაცია. ამ ყველაფრის შემდეგ, მასპინძლის წესსაც კი არ არღვევს და სახლშიც არაფერს იმჩნევს.

დადუმდა, ქალისადმი მოკრძალება მანახა, ჭყ-ჭყი არ წაცხო და ეჭვებში არ გაეხვია. მის ფაცხას რომ გამოვცდით, მხოლოდ მაშინ აღიმალლა ხმა, მაგრძნობინა, რომ იცოდა ყველაფერი...

— არა თქვა რა, არც მე გკითხავ: არის ზოგი შეცოდება, რომ სათქმელად საძნელოა... არც შენდობა უხერხდება! ახლა ნადი! დამეკარგე!

— მე და მაგას ერთი ძუძუ გვინოვია, დედამისის ძუძუ და ამის გამოც გამიშვა, თუმცა ამით უარესი ჩაიღინა... მერჩივნა მოვეკალი.

ველარ ვუძლებ დაუსჯელობით დასჯას.

— გამზრდელთან რომ ნახვედი?

— შემეძლო არც წავსულიყავი. როდესმე ჩავიკლავდი ალბათ ამ ტანჯვას, მაგრამ არც ეგრეა საქმე, თუ იქ შეგეხო, სადღაც შიგნით, მორჩა... აირევი, აილენები, შენი სიმშვიდე და ხსნა მხოლოდ სიკვდილი იქნება — ეს კი ყველაზე საშინელია,

როცა სიკვდილს ეძებ, მაგრამ ვერ პოულობ...

ჰაჯი-უსუბს ყველაფერი ვუამბე.

— ჰაჯი-უსუბი სახელგათქმული იყო თავისი სიბრძნით, სადაც კია გვარიშვილი, ყველა მისი გაზრდილია.

— მეც! მეც მისი გაზრდილი ვიყავი და მუხლებზე დავეცი, მახრჩობდა რაღაც, თითქოს ყელშიც მარწუხები მიჭერდა და მოვუყევი ყველაფერი.

ის კი ჩუმად მიყურებდა თავისი მძიმე გამოხედვით. დიდი ნალველი ედო სახეზე... და რომ გაიგო ბათუს საქციელი, და ისიც, რომ სწორედ მან გამომგზავნა შენთან და პასუხს შენგან ელისმეთქი, თვალები დახუჭა წამიერად.

და იცი, ეს რა წამი იყო?

დრო გაჩერდა, თითქოს რაღაც საშინელის მოახლოება ვიგრძენი — პასუხიც ეს იქნებო, რომ წამუსის მოსაწმენდად ჩემი ხელით სისხლს დავღვრიო. და აქ გავიხარე, როგორც იქნა!

— გაიხარე?

— კი, დამბაჩა რომ შეაყენა, ამოვისუნთქე, წყნარად მივუშვირე მკერდი, როგორც იქნა მორჩა ჩემი ტანჯვა და მივიღებ იმას, რაც დავიმსახურემეთქი, მაგრამ... ახლალა ვხვდები, თუ როგორი დასჯილი ვყოფილვარ, თურმე, კი არ მოჩრა, ჯერ სადა ხარ, იწყება ის, რაც არასდროს დამთავრდება, თითქოს თვალწინ ამაცალეს სანატრელი ჩემი ოცნება.

დამბაჩა ასწია და თქვა: შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?! სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდისხარ!

მითხრა და მიიჭედა საფეთქელში ცხელი ტყვია.

შევძრუნდი! ცხოვრება სხვა რამაა, ვიდრე შენ გგონია, როცა სიკვდილის ღირსიც კი არ ხარ! ჩემი გამზრდელი — ჩემი ბედისწერაა!

— პოემა სწორედ აქ მთავრდება. და შენ?

— მე რა, მე დავრჩი ასე, ისეთი მკვდარი, რომელიც სიკვდილს ველარ ეღირსება... და კიდევ იცი, რა? ვშიშობ, ჭკუიდან არ გადავდგე, რადგან ჩემი თავის მეშინია ყველაზე მეტად... რატომ მანამებენ ასე? რატომ გამწირეს სამუდამო სატანჯველად და არ მკლავს არც ბათუ და არც ჰაჯი-უსუბი? რატომ?

გინდა გითხრა, რატომ?

რადგან მათ დიდი პასუხისმგებლობა აცოცხლებთ, რაც მე არა მაქვს. ესაა ჩემი ტანჯვაც და საიდუმლოც.

— რა საიდუმლო?

— მაგასაც გეტყვი... იცი, როგორ მინდა ჩემთვის ვიპოვნო ამ საიდუმლოს გასაღები? და როცა თითქმის ვუახლოვდები მას, ჩვენი ბედი მთავრდება და ყველაფერი გვაზინყდება.

— როგორ თუ გავიწყდება?

— ვილაცის ახალი წაკითხვით, მე ისევ იმავეს ჩავიდეინ, ჰაჯი-უსუბი კი არასდროს გადავა იმ პასუხისმგებლობას, რაც ჩემზე აიღო და იმის შნოც ექნება, ბოლომდე ატაროს, სანამ არ ვაიძულებ თავისივე ხელით დაიხლოს ტყვია. და ბათუსაც დარდი შეჭამს, ჩემში ძმობაგატეხილს, და ნაზიბროლასაც წყენა დაკბენს დაუმსახურებლად. ვრჩები მე — ერთი განწირული სიტყვა.

ახლა იმ საიდუმლოსაც გაგიმხელ...

— გისმენ.

— ჩემი საიდუმლო ჩემი იმედია, რაც ჩემი უთ-

ვალავი წაკითხვით გამიჩნდა.

როცა ჰაჯი-უსუბთან გამოვრბივარ და მუხლე-ბზე მდგარი მკერდს ვუშვერ, სულ მგონია, რომ სასწაული მოხდება — ღმერთმა ქნას, ხელი წაუცდეს და ახლა მე დამახლოს ის დამბაჩა, მაგრამ ჯერ ასე არ ყოფილა და მეც უკვე შევეჩვიე ჩემს ბედს.

მაგრამ, ბოლოს მე ყველაფერს ვხვდები, თითქოს ახლიდან ვიბადები, გესმის? ჩვენი ბედის ლექსში ახალ სიტყვად ვინერები. ჩემი გამზრდელის სიკვდილის შემდეგ, როცა ის, სულთამბრძოლი, დამბაჩის წამლის კვამლში ეხვევა, რაღაც საოცარი წამი დგება, წამი, რომელიც მარადისობისავითაა, სადაც მე შემიძლია ხელახლა დავიბადო. შვებასაც ვგრძნობ და ცოცხალი ვარ, მაგრამ, უეცრად ირთვება დრო და ადგილიდან იძვრებიან სიტყვებიც — ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვილაცა თავიდან იწყებს შენს კითხვას... და გამოდის, რომ თავიდანვე იწყება მთელი საშინელება, ისევ ნდობა, ბნედა, ტკივილი, შიში... ყველაფერი იგივე, მაგრამ ისევ ერთი რამ აკლია — შენი სიკვდილი.

და რჩები ისევ მარტოდ.

მადლობა ამ საოცარი საუბრისათვის! მადლობა, რომ ბოლომდე მომისმინე და ალბათ გამიგე კიდევც.

მშვიდობით.

— მშვიდობით, წაკითხვამდე, მომავალ წაკითხვამდე.

და ჩვენი ქვეყანაც, მრავლის გამჩენი — მრავლის გამზრდელი, ყოველ ჯერზე ახლიდან განიცდის თავის ბედს.

ბედნიერი ან განზილებული, დიდი მოთმინებით
ინერს გულზე ყოველის საქციელს, სინმინდესა თუ
უმსგავსობას. სტროფი სტროფს მისდევს, თაობა —
თაობას, ჯილდოც გამარჯვებას უნდა სდევდეს და
სასჯელიც — დანაშაულს, მაგრამ უცნაური რამაა
ბედისწერა, რადგან ჩვენს წიგნში დღევანდელი
გვერდი ასე არ წერია.

vaja-fSavelas
`stumar-maspinZeli~

დაბადებიდან სიკვდილამდე ყოველი კაცი გადის
ამ ვრცელ, შემოვლით გზას, რაც ჩვენს ცხოვრე-
ბაზე მიიკლაკნება, ამტვერებული იმედებითა და
მისწრაფებებით. ზოგი სანადელს აღწევს, ზოგიც
მარცხდება... ზოგიც ჩერდება სინამდვილესა და
საოცნებოს შორის, მაგრამ ნებისმიერ შემთხ-
ვევაში, ყოველი ჩვენგანი ირქმევს სახელს, რასაც
მისი საქციელი სთავაზობს.

ვინ ირჩევს ადამიანს, ბედისწერა? ყბადალებუ-
ლი უფსკრული? — საიდანაც ბევრი ვერც აღწევს,
თუ თავად ადამიანი? თვითონვე ვინც ხტება ამ
უფსკრულში და როცა იქ დაინთქმება, იქვე პოუ-
ლობს მისთვის მყუდრო ადგილს, მიიღებს იმას,
რასაც ელტვოდა.

ყოველი კაცი თვითონვე აგებს პასუხს მისივე
ნამოქმედარზე, რადგან მან აირჩია საკუთარი თავი
და ჩაიღინა ისეთი საქციელი, რისი შნოც ჰქონდა,
თუმცა...

...არსებობს ადამიანი, როგორც ტექსტი, და
ყოველი ახალი წაკითხვით ის თავიდან განიცდის
თავის ბედს.

ჩვენი ქვეყანაც ძველი ტექსტია, ზოგისთვის მრავალჯერ გადაკითხული, გათავისებული და მტკივნეული; ზოგისთვის კი ზერელედ თვალგადავლებული, უშინაარსო და გაუგებარი.

თავდაპირველად თქმული სიტყვით შექმნილი სამყარო კი, მიტოვებული რჩება მკითხველს, რადგან ის არ უფიქრდებოდა რა თავის წარმომავლობას — კვლავ ბრწყინდება, როცა გვერდი გვერდს მისდევს და მისი კითხვით აცოცხლებული ვერც კი ამჩნევს, რომ ბედისწერის გზებით, ერთმანეთზე მიწყობილი წინადადებები, საბოლოოდ სადღაც გარიყავენ მას.

და ამ ტექსტად გადაშლილ სამყაროში, როცა მას კითხულობენ, ხშირ შემთხვევაში ის მაინც არ ფხიზლობს, და რალა თქმა უნდა აღარც კი ახსოვს, რომ ის ამ ტექსტში ვიღაცამ დაწერა.

სად არის პასუხისმგებლობა?

რა არის პასუხისმგებლობა?

— გამარჯობა ჯოყოლა.

— შენც გაგიმარჯოს ძმობილო.

— პოემა „სტუმარმასპინძელი“, სიტყვათა ის სამყარო, რაშიც შენ ცხოვრობ, ლამის აღწერის სცენით იწყება, როცა ზვიადაური მოდის და გზად მას გადაეყრები.

— მართალი ხარ, ასეა.

— შენ ნანადირევის გაყოფას სთავაზობ... მონადირეების წესის თანახმად.

— თუ გინდა ორად გავიყოთ, ვეუბნები ზვიადაურს, როგორც ამხანაგთ, ორადა, ჩიჩქიც არ

მინდა მე მეტი, გავინანილოთ სწორადა.

— და ამის შემდეგ შენ მას სახლში პატიყვებ.

— ასეა.

— წარმოდგენა არა გაქვს რა, რომ ის მტერია, შენი მოსისხლე მტერი.

— არ ვიცოდი, იერით კი ხევესური სჩანდა, მაგრამ იცი რაც მითხრა, ნუნუა მქვიან ძმისაო, გადმოხვენილი ჭიელით.

— რატომ დაგიძალა ზვიადაურმა თავისი სახელი?

— ზვიადური ბავშვმაც კი იცის ვინაა, ქისტებს ბევრს სისხლი ავალა, ბევრ ქისტს მოაჭრა მარჯვენა, უდროდ საფლავში ჩალაღა...

... რატომ დამიძალა თავისი ვინაობა? ამ კითხვას მეც ხშირად ვუხვამ თავს, იქნებ, რაიმე ვერაგული გეგმა ჰქონდა, იქნებ, არც კი აპირებდა ავის ჩადენას, უბრალოდ მენდო და გამომყვა, თუმცა იცოდა, სადაც მიმყავდა, ქისტეთში, ჩემს სახლში.

— პოემის დასაწყისში წერია, როცა ზვიადური ბილიკით მოდის, ძმის მკვლელის სისხლის სწყურია კაცი რომ მოდის გზაზედა.

— აგრეა, მოსაკლავად მოდიოდა? ვინმეს მოსაკლავად ან... ვინ იცის?

— იქნებ მონადირეთა წესის შეთავაზებამაც გააჩერა, ან რაღაც შეცვალა მასში.

— აკი გითხარი, ზუსტად ვერ გეტყვი-მეთქი, რაღაც ფიქრი ჰქონდა ალბათ, შემდეგ რაც მოხდა, ესეც ხომ იცი?

— რა თქმა უნდა.

— და ამის შემდეგ, როცა ისიც მკვდარია და მეც მკვდარი ვარ, ზოგჯერ ვეძახი, ზვიადაურო,

ძმობილო, რად არ მაჩვენებ შენ სახეს?

— საერთოდ, როცა სახეს არ გაჩვენებს ვინმე, ან გემალება, ალბათ... უფრო რცხვენია, ხომ ასეა?

— ასეა.

— ადამი და ევა მახსენდება, და რაც მთავარია, კაენი, ძმის მკვლელი. ისინი ღმერთს დაემალნენ, სახე არ აჩვენეს მას, რცხვენოდათ თავისი საქციელის.

— და ეშინოდათ...

— კარგი, როცა მუსას ზვიადაურის დანახვაზე მგლის ფერი დაედება და სოფელს შეკრებს — შენ, სტუმარს მათ არ ანებებ, რატომ?

— წესის პასუხისმგებლობა ვერ დავთმე, ვერ დავთმე კი არა, არ დავთმე...

— სტუმარი ღვთისაა, შენს მეუღლესაც ხომ მიახარე — აი, სტუმარი მოგვარე, ღვთის წყალობაა ჩვენზედა, როგორც დაგვხვდები დიაცო, ეხლა ჰკიდია შენზედა.

— ზვიადაურს ისიც კი ვუთხარი, მობრძანდი, როგორც ძმა ძმასთან, ნათლიმამასთან ნათლია.

— და ზვიადაური შემოდის.

— ჰო.

— მუსა კი გახსენებს, გამწარებით და სიშმაგით, რომ მან თვით შენი ძმაც მოკლა. ზვიადაურს, ძალზედ ბევრი ქისტი ჰყავს მოკლული, ბევრი ოჯახი დაუქცევია და ამაყობდა ამით — „გახლავართ ზვიადაური“, — გადმოსძახებდა ხოლმე მათ. მგონი, მათაც უნდა გავუგოთ, რატომ უნდათ ზვიადაურის შეპყრობა და მსხვერპლად შეწირვა, საფლავზე დაკვლა.

— ასეა კი, და შენი იმ კითხვის პასუხი შეიძლება

აქაცაა, იქნებ და მას ყველაფერი უკვე მოფიქრებული ჰქონდა, ის მოდიოდა ქისტეთში, რათა სწორედ რომ შენირულიყო, ოლონდ... აი, მომისმინე... იქნებ მან მეც კი გამომიყენა ამისთვის, ის ჩვენ ჩაგვაბრდა თითქოს, ელოდა რა ჩემგან ასეთ საქციელს, იცოდა ალბათ, რა კაციც ვიყავ, ან არ ელოდა, უბრალოდ, ასეთი ხერხიც გაითვალისწინა, რადგან ვაჟკაცის წესი — წესია სტუმრის მიღებისა და დახვედრის და თავის გეგმაში მეც ჩამართო, იმის გათვალისწინებით, რომ თუ ეს გზაც არ ივარგებდა, ქისტები მაინც შეიპყრობდნენ და მყისვე დაკლავდნენ შესანიშნავად... და როცა ეს მოხდებოდა, ის თავისი სიკვდილით წყალში ჩაუყრიდა ქისტებს მსხვერპლის შენირვის წესს და ასეც მოხდა — ის არ შედრკა.

— დაკლულმა დაჰკლა მათ გული და გაუცრუა ქადილი.

— მართალი ხარ, ჯერ კი გვაჩვენა, რომ ბოლმამ მოკლა, ოჰ, ხმალი მომცა ეხლაო, ჩამიგდეთ ხელში, ძაღლებო, კარგი დაგიდგათ დარია...

შემდეგ — ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა, გაიმეორა ორჯერ და სხვა არაფერი უთქვამს, როცა დანა ნელა შეუყვანეს ყელში.

ჩვენში კი ასეა, სისხლის ალებიას, მკვლევლობისათვის მოკვლისას, თუ შესანიშნავი, საფლავზე დაკლული, არ შედრკა, — შენირულად არ ითვლება.

მან ამით წერტილი დასვა, იქნებ ამიტომაც მოდიოდა იმ წყეულ ღამეს ჩვენთან, რომ ეს ექნა, ძმის მკვლელის სისხლი რომ სწყუროდა, იქნებ ისეთიც კი იყო მისი მიზანი... და ალბათ, იმიტომაც, რომ

დაიღალა.

— დაიღალა?

— კი. წარმოიდგინე, რამდენი ადამიანი კითხულობს ჩვენს ბედს და ყოველი ახალი წაკითხვით, ზვიადაური მტერს კლავს. კლავს და კლავს გაუთავებლად... იქნებ ის დაიღალა ამ ხოცვაჟლეტით, მაგრამ ვაჟკაცია და თავის ვაჟკაცობას ვერ იცვლის, ასეთია მისი ბუნება... და ამიტომ, თავისი სიკვდილი ამჯობინა, მაგრამ აქაც კი დაუმტკიცა მათ, ის ყოველთვის მათი მტერი დარჩება, დაუმტკიცა, რომ ვაჟკაცია. ამიტომაც დამიძალა თავის სახელი.

— მაგრამ შენი კი შერცხვა... მისი აჩრდილი სახეს არ გაჩვენებს.

— რადგან ხომ გითხარი, ან არ ელოდა ჩემგან ასეთ საქციელს, ან სწორედ ამ საქციელისთვის გამიზნულად გამომიყენა, რის გამოც დაერქვა ჩვენს ბედს „სტუმარმასპინძელი“.

— შენ სოფელი დაგიპირისპირდა, ლაჩრად და ჭკუათხელად ჩაგთვალეს, — აბდაუბდაობ შტერადაო, ამ გიაურის გულისთვის ძმებსაც ეპყრობი მტრადაო.

— ჰო, ძალღად რომ გამხადეს და ჩემი დაქცევა იფიქრეს, ადგილზე დავკალი ჩემი მოძმე მუსა. სწორედ ეგ გამითამამდა ასე. მე არ ვარ ლაჩარი. ზვიადაურის ვინაობა რომ შევიტყვე, მწარედ ვინანე, რომ ჩემი სტუმარი იყო და ძმად მივიღე, მაგრამ სიტყვისა და წესის პასუხისმგებლობას მაინც არ გადავედი. ჩემებს ვეუბნებოდი, დღეს სტუმარია ეს ჩემი, გინდ ზღვა ემართოს სისხლისამეთქი. გავუშვათ და მერე გავუსწორდეთ. მათ არ

დამიჯერეს. უსამართლობას სჩადიხართ, ტყუილად მლანძღავთ-მეთქი — ვეუბნებოდი მათ.

— შენ კი ყველას გიჟი ეგონე, რადგან ფიქრობდნენ, რომ ზვიადაურის მხარე გეჭირა.

— ჰო, ვეგონე... მაგრამ მისი მხარე არ დამიჭერია და ბედის ყველაზე მძიმე ჟამს წესის სიტყვა არ გავტყხე. თქმა ერთია, გაკეთება მეორე, ამის გამო გამგელებული სოფელი დამიდგა წინ.

— მართალია, როცა ხევსურნი სოფელს მოადგებიან და ომი გაჩაღდება, შენ მარტო შევარდები საბრძოლველად, რატომ?

— რათა მთელმა ჯარებამ მნახოს, ვინ ერთგულია, ვინ არა, ქისტებს ორგული ვგონივარ, გამდგარი თავის რჯულზედა, მოლალატე ვარ, ხელალებული სულზედა.

— გაოცებულები გიყურებენ, მაგრამ მაინც ზიზღით ამბობენ — მოჰკლან, თუ მოჰკლეს ახია, ეხლაც მასხარად აგვიგდო.

— იმასაც იძახდნენ, წინად რომ ბევრჯერ აგვრია, სოფლისა გადრა ინდომა, ჩვენ კი ტალახში გაგვრია.

— და შენ კვდები, მარცხდები, ერთი კაცი, ხევსურთა ჯარის წინაშე.

— მეც ვკვდები და სხვა ბიჭებიც იხოცებიან, კარგი ვაჟკაცები. ხევსურები კი ზვიადაურის ძვლებს ჰკრეფენ და ქისტეთს ეცლებიან.

— ალაზა? შენი მეუღლე?

— ჩემი დიაცი... მაგას რა? მან ვაჟკაცის სიკვდილი იტირა, როცა ნახა, თუ რა ამაყად აღესრულა ზვიადაური, სამი ბალანიც კი ააჭრა სახსოვრად, მაგრამ ეს არაფერი, რადგან დიაცს მუდამაც

უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა. თუმცა, ჯერ მიმაღავდა, რომ სასაფლაოზე იყო. ჩემი რისხვისა შეეშინდა და იმისიც, რომ მკვდრებმა დაწყველეს, სასაფლაოზე მტირალი. მისი მკვდარი ძმაც გაუნყრა, გულისტკივილი შესჩივლა, თავის ტოლებში უსწორომ, ქისტეთს განთქმულმა მხედარმა.

— არადა, ალაზა გულწრფელად განიცდიდა ვაჟკაცის სიკვდილს.

— ფიქრობდა ალბათ, ნეტავი ნებას მაძლევდეს დედაკაცობის რჯულიო, რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას გავაფრთხოვინო სულიო.

— ასე ფიქრობდა და მისი გრძნობის გულწრფელობამ და ტკივილით დამწარებულმა ვნებამ ესეც ათქმევინა, ნეტავი იმას, ვინაც მაგის მკლავზედა წვებოდა, ვისაცა მკერდი ან კრული მაგის გულმკერდსა სწვდებოდა.

— ეჰ, დიაცნი. ზვიადაურის მერე, მეც რომ მომკლეს, მან ჩათვალა, რომ აზრი აღარ ჰქონდა მის მარტოდ ყოფნას, თემის ხათრიც ჰქონდა და ღვთის შიშიც, მაგრამ ქალი ქალია, ვერას გაიგებ, მან თავი მოიკლა.

— მაშინ, მითხარი, რა არის შენთვის ღირებული, — წესის პასუხისმგებლობა, მტერს რომ მტრულად დაუხვდე, თემის გადანყვეტილება თუ...

— მე მტერსაც დავუხვდი და სტუმარიც მივიღე, არც ერთის პასუხისმგებლობა არ დამირღვევია... სტუმარი რომ მათთვის გადამეცა, იგივე იქნებოდა, ომიდან რომ გამოვპარულიყავი... და ამის გარდა, არც თემს დავუპირისპირდი, ისინი თვითონ დამიპირისპირდნენ, რადგან მათ გამწარებაზე და სისხლის აღების მოუთმენელ სურვილზე მაღლა, მე

კაცისათვის მიცემული სიტყვა დავაყენე, სიტყვა, რომელიც წესით იყო ნაკარნახევი, რაც ღვთის მიერაა დადგენილი და არა ჩემი მოგონილი, რასაც იგივე თემიც ემორჩილება.

არაფერი დაშავდებოდა, ზვიადაური რომ გაგვეშვა ქისტეთს მიღმა და შემდეგ დავდევენბოდი და პასუხი გამეცა, მითუმეტეს, ჩემი ძმის მკვლელი იყო. მაგრამ თემმა ის ვერ აიტანა, რომ მათზე მაღლა თურმე ყოფილა კიდევ რაღაც სხვა.

— მაინც რა?

— რაც უკვე გითხარი — პასუხისმგებლობა.

ქისტებმა რომ ერთხმად შემოუძახეს და დასჭექეს, შენ და შენს სტუმარს ორივეს ერთად დადგისვრით ბექითა, თემს რაც სწადიან, მას იზამს თავის თემობის წესითა, ხომ გახსოვს?

— მახსოვს.

— მერე? სწორედ ისინი არღვევდნენ პირველები ამ თავიანთ წესს, რადგან სისხლის ალების წყურვილი უფრო დიდი იყო, ვიდრე წესის პასუხისმგებლობა, — აი, მათი სისუსტე და ეს რომ ნახეს... მე რომ ამას არ გადავედი, გამწარდნენ, დაინახეს რა, რომ ადამიანთა სურვილზე მაღლა, ადამიანის პასუხისმგებლობა დგას!

— და ამ ყველაფერს დასცქერის, პირიმზე მოღერებულის ყელით... მაღლობა შენი, ჯოყოლა.

— ნახვამდის.

— ნახვამდის და მომავალ ნაკითხვამდე!

დღეს ჩვენ გზააბნეულები თუ ამაყები, იმედდაკარგულები თუ იმედებით აღვსილნი, როგორც შეგვიძლია ვიცავთ მასპინძლისა და სტუმრის

პასუხისმგებლობას... გვინდა რომ ვიყოთ ჰუმანურები, რაც დედააზრია ამ წესის... ვიცავთ პასუხისმგებლობას, როცა აქ ვმასპინძლობთ მათ, ვინც ყოველი წაკითხული და გადაშლილი გვერდით, ყოველ ახალ დღეს, ჩვენთან ერთად, იმ იმედით იყოფს, რომ მოვა დრო და შინ დაბრუნდება.

მაგრამ, ჯერ ყველასთვის წაუკითხავ, ერთ რომელიმე გადაუშლელ გვერდზე, შეიძლება დაგვხვდეს ისეთი საბედისწერო კითხვა, როცა მხოლოდ ჩვენი სიფხიზლე გვაპოვნინებს სწორ პასუხს, და მაშინ როგორ მოვიქცევით? როგორც დღევანდელი ჩვენი გპირი? თუ?..

ilia WavWavaZis
`gandegili~

რა უფრო განუსაზღვრელია — ადამიანის ნები-სყოფა თუ ბედისწერის გარდაუვალობა?

რითი შეიძლება დავამარცხოთ ცხოვრებისეული ყველა ის პირობითობა, რაც ზოგჯერ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია და რესპექტაბელობის კანონის ტყვეობაში გვაგდებს.

სად იმალება კაცის წინააღმდეგობრიობის, სამყაროსთან თუ საკუთარ თავთან აღძრული ჯანყის მიზეზები და საით გვიტყუებს ჩვენი საქციელი, ჩვენი ძიება.

ქვეყნიერებისაგან განდგომილი კაცი და წიგნიდან განმდგარი სიტყვა. უცნაური კავშირია და შესაძლოა გვჯეროდეს, რომ თუ გადარჩება კაცი, გადარჩება ქვეყნიერებაც, თუ გადარჩება სიტყვა — გადარჩება წიგნიც. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში — გინდ სიტყვა განდევილი, გინდ სიტყვა

— საერო ცხოვრებით ნანერი, ერთი საიდუმლოს კანონს ემორჩილებიან.

რა არის ამ საიდუმლოს სახელი?!

— გამარჯობა.

— ღმერთმა დაგლოცოს.

— უცნაურია, მოულოდნელობებით სავსეა ჩვენი ცხოვრება. ხომ ასეა?!

— ალბათ.

— შენ, ვინც ასკეტიზმის უმაღლეს საფეხურს მიაღწიე და ქვეყანას განუდექი, რათა დღედაღამ ლოცვით გაგენმინდა სული და ავს არიდებოდი — მინიერ ყოფას, სადაც სიტურფე და სათნოება შენთვის ბოროტის სახე და ცდუნებაა, დაუშვებდი რომ... მინდა სწორად გამიგო... რომ შენ საყდარში, სადაც ბერად დაეყუდე — სწორედ იქ შეგემთხვეოდა ის, რასაც გაექეცი?!

— მე ასე არ ვიტყვოდი. ყოველივე ღვთის ნებაა.

— მწყემსი ქალი ამბობს, რომ მამამისის ცხვარს აძოვებდა, ბალახმა მალლა, მთაში ამოიტყუა, შემდეგ განვიმდა, დაღამდა, გზა აებნა და ჯაჭვი რომ შენიშნა კლდეზე, მამის სიტყვები გაიხსენა — იქ, მალლა, ერთი წმინდა კაცი, განდეგილი ცხოვრობსო და ამოვიდა, თავი შეგაფარა.

— მეც მივიღე. ჯერ მითხრა... რომ ვკითხე, ვინ ხარ, კაცი თუ მავნე... მითხრა, კაცი ვარ კაცი, მომეცი ბინა, მიხსენ ღვთის მადლსა სიკვდილისაგან... ის კი ვიხსენი, მაგრამ მე...

— შენ მზად ხარ მიიღო გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანი, მზად ხარ, რადგან ამბობ — ცოდვაა, გარეთ დაგტოვო ამ დროს; თუ მაცდური ხარ, სჩანს ღმერთს სწადიან მწირი ცოდვილი დღეს გამოძ-

ცადოს...

— ამოვედ, ვინც ხარ! — ვეუბნები, — იყავ ნება ღვთის!..

— ესე იგი, შენ ღვთის ნებას ასრულებ, უშვებ იმ აზრსაც, რომ შეიძლება გამოცდაა, თითქმის ბოლომდე მზად ხარ — თითქოს ერთ უკანასკნელ გამოცდას უნდა გაუძლო და...

— ... და რა? თითქოს ბოლომდე მზად ვარ?

შენ იცი, რა არის სიმარტოვე? იცი, რა არის, როცა შენივე ნებით მოიკვეთ შენგან ყველა ახლობელს და მიენდობი ღმერთს, ერთ დიდ ამოუცნობ საიდუმლოს, რომლის აზრიც ბოლომდე არ გესმის, მაგრამ მაინც დგამ ამ ნაბიჯს — მიდიხარ, წუთისოფელს ეცლები, ქვეყნისგან განდევნილი ხდები... რატომ აკეთებ ამას, შეიძლება ვერც კი ხვდები, მაგრამ რალაცა... შენი შინაგანი ხმა გეუბნება, რომ...

... რომ შენი გზა ასეთია, მაგრამ დგება ერთი ჩვეულებრივი დღე და კაცი იმ დღეს ვერ უძლებ.

— სწორედ ამ დღეს გულისხმობ ხომ? უფრო სწორად, ამ ღამეს, როცა მწყემსი ქალი შენთან მოდის.

— რა თქმა უნდა... მოდის და მოაქვს ჩემი ტანჯვაც, მაგრამ ხომ გითხარი, ის არაფერ შუაშია, ჩემშია ყველაფერი.

— მაგრამ, მწყემსი ქალი შენთან შემოდის მართლაც დახმარების სათხოვნელად — ღამის გასათევად. მის საქციელში ერთი მინიშნებაც არაა, რომ შენი ცდუნება უნდა.

— არა... ჰო, ის ადამიანია ისევე, როგორც მე. სჯერა, რომ უკადრისს არ ვკადრებ. მე ხომ ბერი

ვარ.

— ამ ცხოვრებისგან გამდგარი. ცხოვრობ მარტო და შეიძლება ითქვას, მხოლოდ შენს თავზე ფიქრობ, მარტო შენი სულის გადარჩენა გინდა, სხვა კი არაფერი გალელვებს.

— არჩევანია ასეთი. მე ახლოსაც ვერ მივალ წმინდანებთან, დიდ მონაშემებთან. მე უბრალოდ ჩემი თავი მყავს განამებული, ჩემს ხორცს ვანამებ სულისთვის...

... ჩემს სენაკში მზის სხივი შემოდის სარკმლიდან...

— კი, და მასზე ლოცვანი დევს — გადაშლილი წიგნი. ის არ ვარდება, მზის სხივი იჭერს.

— ოდესღაც ასეც იყო. ვინმესთვის შეიძლება სასწაულია, ჩემთვის კი — ღვთის მადლია, იმდენად მსუბუქია ჩემი სული, რომ ლოცვანი მზის სხივზეა დაყრდნობილი.

— მაგრამ ბუნება თავისას ითხოვს და შენ ვერ მოიკვეთე ის შენგან, ცეცხლს დაანთებ და რას ხედავ — სიბნელე განიბნევა, შენს თვალწინ კი გასაოცარი რაღაც ჩვენება წარსდგება.

— ყმანვილი ქალი, სავსე სიცოცხლით, სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით, ნაზად, ამაყად ცეცხლისპირს იჯდა, ვით მინდვრის შველი ყელმოლერებით.

— ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალებს თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა.

— მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი, ვითა ძლეული უკუჰკრთებოდა.

— მწყემსი ქალი თავის ამბავს გიყვება და აინტერესებს, შენ როგორ ძლებ ამ ყინულეთში, სულ

მარტოდ მარტო. ისე, ეს მეც მაინტერესებს.

— როცა განდევილობა შენი სვედრია, როცა ყრმობიდან ემზადები და სულს განიმტკიცებ იმ დიდი სიმარტოვისთვის, ადამიანსა და ღმერთს შორის რაცაა, — თითქოს ხიდად გადებული, — მაშინ გაძლებ! მარტოობასაც ნიჭი სჭირდება და ცოდნა. მარხვით, ლოცვით და, რაც მთავარია, რწმენით, ნელნელა ვინყე ღმერთთან მიახლოვება, ის სხვიც თანდათან მომეცა ნიშნად იმისა, რომ ღმერთი ჩემთან იყო... მიხაროდა, რომ ვძლიე წუთისოფელს. და ერთ მშვენიერ დღეს სამოთხის კარსაც შევხსნი და შევხედავ ჩემს სანატრელ ღმერთს, ვისაც ამდენი ხანი ვეძებდი, როგორც ჩემში, ისე ზეცაში.

— მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი სახეს იცვლის: ეს მაინტერესებს, — შენ ხომ იცოდი, რომ შეიძლება ღვთის გამოცდაა, რატომ არ იფხიზლე.

— ალბათ იმიტომ, რომ გავთამამდი ჩემივე სიძლიერით: რა მოხდება, ერთხელ ვაკოცო ამ სილამაზეს, ჩემს წინ რომ სძინავს ჯადოსნური ღიმილით, და კიდევ ისიც, რომ ვინანე...

... როცა მას ვუყრებდი — ვინანე.

— ჰო, როცა გაიფიქრე — ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა ასეთი მერგო მე უბედურსა.

— მე უბედურსა! — საზარელი სიტყვა წამომცდა... სიტყვა უმადურობის, ჩივილის, მე უკვე თითქმის ვეზიარე დიდ საიდუმლოს და წამში დავივინყე ყველაფერი, ამოვიკვნესე დიდი ბედნიერების დამკარგავმა და ღმერთს შევკადრე სამღურავი დავიბენი... ჩემს თავში დავიკარგე.

— გაფითრდი, შეგეშინდა, მიიხედმოიხედე, თითქოს მტერს ეძებდი ირგვლივ.

— ირგვლივ კი არავინ იყო. ხომ გეუბნები, ჩემ-
შია ღმერთიც და სატანაც და ის დიდი სიმართლაც,
რასაც ველარ გავუძელი...

... თითქოს სადღაც ხრამში გადავიჩეხე. თვალი
გამიშტერდა მძინარე ქალის ღიმილზე, გული
სხვაგვარად ამიძგერდა ჯერ არცნობილი სიტუ-
ბოებით, ჩემი სულის ყველაზე ბნელი სიღრმიდან
მესმოდა ეს გულისძგერა...

მე არ ვიცოდი, თუ რა ღრმა უფსკრული ჰქონია
თურმე ადამიანის სულს.

— მაგრამ, შენ ხომ არ გიკოცნია მისთვის, შენ
მხოლოდ მოგინდა კოცნა.

— მერე რა, ეს საკმარისი აღმოჩნდა, ფიქრი
სურვილზე სწრაფია, ყველა საქციელს დაასწრებს
ის და თვალის დახამხამებაში აგხვეტს მიწიდან,
მტკრად მოგაბნევს... ნაგშლის.

მე ვანყენინე მას, — იმ ყველაზე მთავარ სიყვარ-
ულს, რასაც ჩვენ ღმერთს ვუნოდებთ. ვანყენინე
და ალბათ გულიც დავნყვიტე, რადგან არ აღმოვჩი-
ნდი მისი სიყვარულის ღირსი, ზურგი ვაქციე,
ბოლომდე ვერ ვატარე ის, რაც თავზე ავიღე და ეს
უფრო მტკივნეულია, ვიდრე ის, რომ აღვიგზენ და
კოცნა მომინდა... ესე იგი, მე სანდო არა ვარ. ესაა
სანყენი.

— ნანყმდი თუ არა! — ნიშნისმოგებით ჩაგძახა
ყურში ვილაცამ.

— ჩამძახა... კვილი უფრო იყო, საზარელი, დამ-
ცინავი. ხომ არ მომეჩვენა, იქნებ ეშმაკი მიღვას
გვერდით-მეთქი, ჯერ გახედვაც კი ვერ გავბედე,
მაგრამ მომეჩვენა კი არა... კვილი, ყინულივით
ცივი ხმა, ყოველთვის რომ თავს მახსენებს თავისი

მინისმძვრელი საშინელებით, ჩემივე სულის ღრმა და ბნელი უფსკრულიდან მესმოდა. კანკალით დავეცი მუხლებზე ღვთისმშობლის ხატთან.

— მაგრამ ღვთისმშობლის სახეში იმ მწყემსი ქალის სახე დაინახე.

— დავინახე და აღსასრულიც ვიგრძენი, რადგან მივხვდი, რომ ჩემი ხრამიდან, სადაც გადავეშვი, ვერ ამოვალწევდი.

— დროც გაიჭიმა, თითქოს გვიან თენდებოდა, თითქოს მზეს აღარ უნდოდა ამოსვლა, მაგრამ როცა სარკმელში პირველი სხივი შემოდგა, იმედი მოგეცა.

— ჩემი იმედი, ჩემი ხსნა, ღმერთს არ გავუწირი-ვივარ-მეთქი და ხელის კანკალით რომ დავდე მასზე ლოცვანი...

— წიგნი დავარდა...

— არ დაიჭირა და... ყველაფერი დამთავრდა... შემრცხვა და... ამიტომ მოვკვდი!

— ის მწყემსი ქალი?

— არ ვიცი. მე ვკვდები. ის, ალბათ, მიდის, ალბათ, ვიღაცეებიც ამოვლენ და დამმარხავენ... არ ვიცი, ეს არ სწერია... მაგრამ... მე ხომ სიტყვა ვარ და მთელი მარადისობა მაქვს წინ. ჩემი შეცდომა უნდა გამოვასწორო, ამიტომ ვარ განდეგილი, რომ ისევ უნდა მოვემზადო, საზიზლარი გულისთქმისაგან ისევ განვიწმინდო, რაც ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტეა, ბუნებრივი ნდომა, როგორც წყურვილი ან... ან სუნთქვა. ხომ არ შეუძლია ადამიანს სუნთქვას განუდგეს?! მე სწორედ ეს მინდოდა... და მინდა ჩემსავე ბედს გავექცე, ამიტომ გავურბივარ წუთისოფელს, რომ იქ, იმ ყინულიან კლდეებშიც

ვერ მომაგნოს მან. მაგრამ ის მაინც მოდის და ამდენი ხანი ვერ დავძლიე თავი და ალბათ დავღალე ღმერთიც და თქვენც, ვინც კითხულობთ ამას.

ახლა კი დროა, მე უნდა დავბრუნდე.

— მაშინ, ერთ კითხვასაც მოგცემ, ვიდრე წახვალ.

— ბრძანე!

— შენ მზად ხარ, თავიდან განიცადო ყველაფერი, თვით შენი სიკვდილიც კი. მზად ხარ, ყველა ძალა იხმარო, რომ გამოცდას გაუძლო, როცა წიგნი გადაიშლება და ჩვენ შენს კითხვას დავიწყებთ; იქნებ ჯობდეს... შენ ხომ თქვი, ხსნა ყველგანააო... იქნებ ჯობდეს დაბრუნდე არა იქ, შენს სენაკში განდევილად, არამედ ქვეყნად... და საერო ცხოვრებით იცხოვრო. თუ ხსნა ყველგანაა, იქნებ იქ მოძებნო ახალი გზა სულის სახსნელად და თავი აარიდო ამ მძიმე განსაცდელს. შენ ძალიან სჭირდები ქვეყანას, რომელიც ურწმუნოებასა და ცოდვაში ყვინთავს დღეს.

— ყველა თავის საქციელზე აგებს პასუხს. მე ამას უკვე ვერ ვიზამ.

— რატომ? ასეთი არჩევანი რომ გაქვს?

— ახლა უკვე ბედი!..უნდა ვეცადო, რომ ვსძლიო ბედს, ვეცადო მაინც!

— მაშ, ნახვამდის და მომავალ წაკითხვამდე!

— მშვიდობით! და ილოცეთ ჩემზე, განსაკუთრებით იმ ადგილის წაკითხვისას, როცა ის მწყემსი ქალი, ჩემთან უნდა ამოვიდეს, როცა წვიმა იწყება.

„გადაარჩინე თავი და გადარჩებიან მილიონები“

— კაცთა ბედისწერათა გზაჯვარედინზე, ყოველთვის თავს გვახსენებს ასეთი ჩაგონება. მაგრამ ვინ გაუძლებს ჩვენი დროის სიმწარეს, მის შიშებსა და სასონარკვეთილებას — ის, ვისაც თანაგრძნობის, თავგანწირვის და ამტანობის უნარი აქვს, ვისი მიზანიც პიროვნული ძიებისა — ეროვნულობაში არჩევანის პოვნაა? არჩევანში კი — ღვთაებრივის? დედამინის ბედიც, სამყაროს შექმნიდან მის აღსასრულამდე, შესაძლოა ამ არჩევანზე იყოს სულმუდამ დამოკიდებული.

edgar alan pos
`uiliam uilsoni~

წინააღმდეგობრიობა — უცნაური ჟღერადობა აქვს ამ სიტყვას, რომელიც ადამიანის განცდების, იმედების, მისწრაფებების, ბედისწერის და საქმეების თუ საქციელის დიდ ისტორიას იტევს. ის საკუთარი სუნთქვასავითაა, რაც არ შორდება არცერთ ჩვენგანს და არც სიმარტოვეში გვანებებს თავს. სიმარტოვე კი ქვეყნის მპყრობელი, ყოველთვის დუმს. ალბათ არასდროს გაგვენდობა და დღემდეც არავინ იცის, ზეცის წყევლაა თუ დიდი მადლი, რომ სწორედ წინააღმდეგობრიობა მიერეკება იმ დიდ სიმარტოვეში ყველა ამოუებას.

როგორ იბადება ფიქრი, ბგერა, ან ფერი?

როგორ ეძებს ადამიანი საიდუმლოზე პასუხს და რა უნდა რომ აღმოაჩინოს, რას ელის ის სხვებისგან ან საკუთარი თავისგან? დასაწყისის ბოლო თუ დასასრულია, მაშინ სად გადის ზღვარი არსსა და არაარსს შორის და არსებობს ეს ზღვარი საერთოდ?

— გამარჯობა უილსონ. თუმცა არც კი ვიცი, რა სახელით მოგმართო.

— გამარჯობა, როგორც გინდა მინოდე — უილიამ უილსონ, ან მარტო უილსონ... როგორც შენ გინდა.

— პირველი, რაც მინდა გკითხო და შენგან გავიგო, ისაა, თუ ვინ ხარ, ან ვინაა ის უილიამ უილსონი, რომელიც ამბავს გვიყვება — და მონათხრობს, სწორედ „უილიამ უილსონი“ ჰქვია.

— ო, შენ მეტად უცნაური რამ გინდა გაიგო. უცნაური და რთული, რადგან ის უილიამ უილსონი, ამბავს ვინც ყვება, ისევენაირად ვარ მე, როგორც მე, რომელიც ახლა შენ გესაუბრები, არის ის.

— უფრო გასაგებად და ზუსტად ხომ ვერ განმარტავდი.

— ვეცდები. არც ისე ადვილია, თუმცა ორი სიტყვითაც შეიძლება ვთქვა. არსებობს ცნობიერი და შეუცნობელი სამყარო, ორივე ერთ ადამიანში იყრის თავს, მაგრამ რომელიღაცა ერთ სინამდვილეში რჩება, რომელიღაცა კი მეორეში. სარკის ანარეკლივითაა ორივე სინამდვილე. ასეთი კუთხით თუ მივუდგებით საქმეს, შეიძლება კიდევ გაირკვეს რამე.

— მაშინ, სულ თავიდან დავიწყოთ. ის უილიამ

უილსონი, ვინც ამბავს ყველა, სკოლის პერიოდიდან იწყებს თავისი ბედის გაზიარებას. იმ სკოლაში შენც აღმოჩნდები.

— დოქტორ ბრენსბის სკოლა. დიახ.. გოთიკური სტილის შენობა, ვინრო ფანჯრებით, მუხის ფიცრებით დაყუდებული ჭერით და დაქსაქსული, ნახევრად ბნელი დერეფნებით, როგორც სასახლე, თითქოს რაღაც საიდუმლოებებით მოცული.

— თქვენ ძალიან გევხართ ერთმანეთს — ტყუპებივით; და ყოველთვის ერთნაირად გაცვიათ, მანერებზე რომ არ ვილაპარაკოთ.

— კი ვგავართ, ცხადია, მაგრამ ჩემს წარმომავლობაზე ის არაფერს ამბობს.

— ჰო, მხოლოდ იმას, რომ უილსონ, ინგლისში მდაბიოთა გვარია.

— თვითონ ერთერთი უძველესი გვარისა იყო, მაგრამ თხრობის დასაწყისშივე უილიამი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავისი ვინაობის გამხელას შეგნებულად არ აპირებს.

— რათა მისი ნამდვილი სახელით არ დაითხვაროს მის წინ მდებარე სუფთა ქალაქი.

— დიახ, და ირქმევს ამ სახელს — ჩემს სახელს, მისი საკუთარი სახელისგან ოდნავ განსხვავებულს... მიუწერს „უილსონ“. ის თავიდანვე თავს უწოდებს უილიამ უილსონ, რადგან წერას იწყებს მას შემდეგ, როცა მკლავს. თვითონ კი ყველაფერს ხვდება.

— მაინც რას? რას ხვდება.

— იმას რომ, თუკი რამ მისთვის მომხდარა — ყველაფერი მასშივე მოხდა მხოლოდ და არ არსებობს ქვეყნად სხვა უილიამ უილსონი თუ არა ის

უილიამ უილსონი, ვინც მე მკლავს და მე, უილიამ უილსონი, რომელიც ვკვდები.

ეს ერთი ადამიანია, ორ სინამდვილეს, ორ სამყაროს შორის მოარული.

— თვითონაც ხომ წერს დასაწყისშივე — რომ განა ახლა არ ვკვდები საშინელებისა და შეუცნობელის მსხვერპლი, მსხვერპლი საზარელი ზმანების? თქვენ ერთმანეთის ორეულები ხართ?

— დაახლოებით.

— როგორ თუ დაახლოებით?

— ორეულები ერთ კაცში, მე ერთი ადამიანი ვარ, უფრო სწორად ჩვენ — ჩვენ ერთი ადამიანი ვართ.

— ესე იგი, შენ, უილსონ — ხარ შეუცნობელი უილიამისთვის, მისი საკუთარი თავი.

— დიახ. და უილიამ არის შეუცნობელი ჩემთვის, უილსონისთვის. როგორც ადამიანის მე, გნებავს, ორსახოვანი იანუსი, მაგრამ უფრო ეზოთერულად თუ შევხედავთ, მე საკმაოდ ღრმად ვიცნობ უილიამის ბუნებას, მის სულს, რადგან ის ჩემივე თავია, რომელიც თითქოს ზღვარს მიღმა ცხოვრობს — ცნობიერსა და შეუცნობელს შორის გავლებულ ზღვარს მიღმა.

— შენ გასაგებად განმარტე, მაგრამ რას ნიშნავს უფრო ეზოთერულად თუ შევხედავთ, რას გულისხმობ.

— გეტყვი.

ერთსა და იმავე დროში, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობენ სამყაროები. ოღონდ ვისთვის ხილულად და ვისთვის უხილავად. ერთი და იგივე ადამიანი არის იქაც და აქაც. მხოლოდ სარკის დაყენებისას სჩანს ის რეალობა ხილულად,

რომელიც იმავე ადგილზე არსებობს და ზუსტად ის ადგილია, ოღონდ შენთვის უხილავი, ცალმხრივი.

ამ სამყაროებს შორის ნაპრალებია — ერთგვარი დერეფნები და გასასვლელი კარი, რითაც ორეულეები გადიან ან შემოდიან. იქ, იმ სამყაროში მე ჩემი ცხოვრებით ვცხოვრობ, უილიამის სანინააღმდეგო ცხოვრებით. ეს სამყაროები ჩვენზე გადის.

— და ერთ ადამიანში ხდება მთელი მისტერია.

— დიახ. უილიამი, როგორც გითხარი... და შენც ხომ იცი, ქვეყნად არნახულ უმსგავსობას სჩადიოდა, სიბილნესა თუ დაუნდობლობას, ყველაფერს მანკიერს, თავად სატანაც რომ ვერ მიაგებდა სხვას მეტ ბოროტებას.

— შენ კი მისი სინდისი იყავი, თუ შეიძლება ასეც ითქვას, სინდისი, პატიოსნება, სასოება თუ იგივე პასუხისმგებლობა.

— რაც მას არ ჰქონდა. და როცა ის თავისი ზნედაცემულობით მე მშლიდა, თავიდან აღმომფხვრავდა, და მე მეტის ატანა თუ გაძლება რომ აღარ შემეძლო, სწორედ მაშინ გამოვჩნდებოდი მის სინამდვილეში და თავს ვახსენებდი. მას ელდა ეცემოდა. კრთებოდა. კანკალი იტანდა.

— იმ დერეფნებით შემოდდიოდი ხომ? ზემოთ რაც ახსენე.

— დიახ.

— შეგიძლია აღწერო, როგორია ის დერეფანი, ან თუნდაც შენი სამყარო?

— ჩემი სამყარო ზუსტად ისეთია, როგორც უილიამის, იგივე ქვეყანა, იგივე დრო, იგივე ადგილი, დერეფნები კი სიტყვებს შორის დატოვებული ადგილებია.

— სიტყვებს შორის?

— ჰო, თვალი ოდნავ რომ მოხუჭო და ნაბეჭდ გადაშლილ გვერდს შეხედო, შენც დაინახავ ამ ვინრო, თეთრ ბილიკებს, სიტყვებს შორის რომაა დატოვებული, ტყეხილად დახაზული. ამ დერეფნებით გადავდიოდი გვერდიდან გვერდზე და საჭირო აბზაცს ვაგნებდი. თუ წერია, რომ... ხომ წერია რომ, აი, როცა გამექცევა და მოგზაურობას იწყებს რომში, ბერლინსა თუ მოსკოვში, ყველგან მე ვხვდები.

— მას კი უკვირს, თუ როგორ ახერხებ ამას?!

— ჩემთვის... უხეშად რომ ვთქვათ, განზომილების შეცვლაა — სიბრტყიდან სივრცეში — მე დერეფანს გავდივარ, და სადაც წერია, დავუშვათ, ნეაპოლი — რომ უილიამი ნეაპოლშია, მეც იმ გვერდზე მივდივარ, ზუსტად იმ აბზაცში და იმ სიტყვაში — სადაც ესაა აღნიშნული. არ დაგავინყდეს, გარდა იმისა, რომ უილიამ უილსონი, ჩვენ ერთი კაცი ვართ — მე ის პრივილეგია მაქვს, რომ ვიცი... წიგნის გმირი რომ ვარ.

— და საიდან იცი? ან იმან რატომ არ იცის?

— რადგან ის თვითონ წერს და მე მომიხსენიებს. ღვთის წყალობაა, ალბათ, რომ მე არ ვწერ ამ წიგნს. თორემ ბოროტი უილიამი იქნებოდა ზღვარს აქეთ და მას რალა გააჩერებდა.

— მაგრამ შენ მაინც გკლავს, რომში — ნიღბებიან მეჯლისზე, ნეაპოლის ჰერცოგის დი ბროლიოს სასახლეში, მასკარადზე, მისი ნორჩი მეუღლის დაუფლება რომ უნდა.

— მკლავს, მაგრამ თვითონაც კვდება, რადგან თავისი ორეული, ანუ მე, ზღვარს მიღმა ვრჩები, იმ დერეფნების მიღმა სამყაროში, იმავე გვერდზე,

მაგრამ სიტყვის უკანა მხარეს, რითიც თავად სიტყვაა გვერდზე მიკრული, როგორც სარკის ანარეკლი, სადაც მარცხენა მარჯვენაა, და მარჯვენა — მარცხენა; ვრჩები მიღმა და მე ველარავინ წამიკითხავს, და ვერც თვითონ — ნახევარი კაცი, ნახევარი უილიამ უილსონი, მისთვის ეს კარი უკვე დახურულია.

— ჰო, ადამიანი თავის სარკის ანარეკლს ვერაფერს უზამს, სარკე ჩატყდება მხოლოდ, მან თავს უნდა უქნას რამე, რომ იგივე მოუვიდეს ანარეკლს... კარგი, მე ისევ მინდა, შენივე სიტყვებით რომ ვთქვა, წინა გვერდებს გადავხედო, უკვე გასულ დროს, სწორედ იმ დროს, როდესაც უილიამი დიდ სახელს მოიხვეჭს, გინდ სკოლაში, გინდ ოქსფორდში.

— დაუნდობელი, მრისხანე და ბილნი ადამიანის სახელს, ის გამდიდრდება ამ ყველაფრით გათამამებული და ადამიანებზე, თავის გავლენითა და ძალაუფლებით, იწყებს მათივე გამოყენებას, დაცინვას, რყვნას და დამონებას.

— შენ ცდილობ გააჩერო. გამოაფხიზლო.

— და ვიხსნა, როგორც ის, ასევე საკუთარი თავი, ორივე ერთად, ერთი უილიამ უილსონი. მის ცხოვრებაში სწორედ ისეთ დროს გამოვჩნდები, როცა ნაკლებად მელის.

— მაგალითად, ადამიანის წამებისას, თუ კარტის თამაშის დროს, როცა მოთამაშეებს ატყუებს და გაიძვერობითა და უნესობით უგებს, ან ღამის თავანყვეტილი ღრეობებისას.

— ზუსტად ასეა. და სადაც არ უნდა გამექცეს, ყველგან მე ვარ. ხომ არ შეუძლია კაცს საკუთარ

თავს გაექცეს.

— უილიამ უილსონი გაცვებითა და ზიზლით იხსენებს ამბის თხრობისას, თუ როგორ ექეცი წყევლად: ოქსფორდში — მისი სახელის შემარცხვენიელი, როცა ყველას გაუმხელ, სანთლები რომ ქრება და ბნელ ოთახში გამოჩნდება — კარტის მოთამაშეებს როცა მიმართავ, რომ მას გადმოკეცილი სახელოს სარჩული გაუჩხრიკონ, რათა იქ მომგებიანი კარტები უპოვონ, ასევე რომში, როცა წინ აღუდექი მის პატივმოყვარეობას, პარიზში — შურისძიებას, ნეაპოლში — ვნებიან სიყვარულს და ეგვიპტეში, ოქროსმომხვეჭველობას რომ არქმევ მის საქმეებს.

— ზუსტად ასეა. უილიამი მხოლოდ ბოლოს ხვდება, რომ მე ის ვარ და ის — მე, როცა ჩვენი ორი სამყარო ერთიანდება, და მე სარკეში ანარეკლად მხედავს.. ოთახში რომ მომკლავს დაშნით. მაგრამ ოთახის მაგივრად სარკეში დამინახავს თავის ანარეკლს — დაშნაგაყრილს... მანამდე, თუ დააკვირდი, ყოველთვის ამბობდა, რომ ჩემი ხმა ჩურჩულით ჩაესმოდა, თითქოს მისი სიტყვების ექო იყო.

— კი ვიცი, როგორ არა, მაგრამ რატომ ჩურჩულით, ან რატომ ექო.

— რადგან ექოს ის გამჭოლი დერეფნები გამოსცემენ, სიტყვებს შორის რაცაა გაჭრილი. თვით მისი სული, თუ ჩემი სული, გონება და მთლიანად სამყარო, გვერდებზე გადმოსიტყვებული, ბედისწერით დაბეჭდილი. ნერტილდასმული. ეს მთავარი მინიშნებაა მისთვის, რომ მე მასში ვარ და ის — ჩემში.

- მაგრამ უილიამი თავიდან ამას ვერ ხვდება.
- თავიდან ვერა, მხოლოდ ბოლოს, როცა იმეორებს, რომ ამაოდ გადაიხვეწა, როცა მიყვირის — გათახსირებულო! და მრისხანება ემატება, როცა ოთახში შემათრევს, დაშნას იშიშვლებს.
- დაშნას შენც იმარჯვებ.
- რა თქმა უნდა, რასაც ის, მეც იმასვე ვაკეთებ, მაგრამ ის პირველი მაყენებს სასიკვდილო ჭრილობას მკერდში.
- უეცრად კარს ვიღაცა წაეპოტინება, უილიამი შეშფოთდება, ურდულს გაამაგრებს და შენსკენ გამობრუნდება, მაგრამ შენ...
- მაგრამ მე ოთახში მდგარ დიდ სარკეში დამინახავს, თავის ანარეკლად.
- შენ უილიამ უილსონი იყავი ოთახში მდგარი.
- დიახ, დიახ — ის, ვინც თავი მოიკლა, ვისაც ეგონა, რომ სხვა ადამიანს კლავდა... ის კარი, რომლის სახელურიც შეირხევა, რომელსაც გაშმაგებით გადაკეტავს უილიამი, სწორედ ის საბედისწერო კარია, ჩვენს სამყაროებს შორის რომაა დატოვებული. ის ამ კარს კეტავს და ამიტომ თავადაც ველარასოდეს გააღწევს გარეთ. რჩება მკვდარი, და ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ოთახის კარი, ამავე დროს ჩვენი დერეფნებიდან, ამ დიდი ლაბირინთიდან გამოსასვლელი კარია; მისი დახურვისას ჩვენი სამყაროები ისევ ერთ კაცში, ერთ უილიამ უილსონში იყრის თავს, რომელიც მარტო რჩება ოთახში და მხოლოდ სარკის ანარეკლში თუ უყურებს თავის სიკვდილს, სადაც მეც მარტო ვრჩები სამუდამოდ, ჩემივე ხელით განგმირული.

— და როცა შენ, მას ბოლო სიტყვებს ეუბნები, ის ამბობს, რომ — დაილაპარაკა და თითქოს მე ვამბობდი ამას:

— გათავდა, მორჩა. შენ გაიმარჯვე, მაგრამ ან მკვდარი ხარ ამ სოფლისთვის, სასოებისთვის, მალლა ცისთვის! ჩემში იყო შენი არსობა და ჩემშია შენი სიკვდილიც, საკუთარი სახე გამცნობს, ვით მოიკვეთე სამარადისოდ!

— ადამიანი — ტექსტი, სიტყვა — სამყარო, მართლაც უცნაურია, და ეს გზებიც, დერეფნები და სიტყვის უკანა მხარე — რა ვიციოთ ჩვენ მის შესახებ...

— თავიდანვე ხომ გითხარი — მეტად უცნაური რამ გინდა-მეთქი გაიგო. და ისიც უცნაურია, ოღონდ უკვე სხვა თემაა, რომ ნებისმიერ ენაზე და ნებისმიერ თარგმანში ჩვენი ბედი არ იცვლება და არც არაფერი. ახლა კი, მშვიდობით.

— მშვიდობით. მომავალ წაკითხვამდე.

და ჩვენს ყველა კითხვაზე პასუხი ისევ დუმილია... ისევ სიჩუმე. მხოლოდ ზოგჯერ, ძალზედ იშვიათად, მეხის გავარდნასავითაა თითქოს წყალბა ჩვენზე გაღებული, როცა წამით, უკუნეთი ღამისას, გამოაჩენს სამყაროს ისეთს, როგორიც არის სინამდვილეში. და მაშინღა ვიტყვით, აი, თურმე როგორი ყოფილა ის, მაგრამ შემდეგ მყისვე ბნელდება და მორჩა... ისევ დუმილი და ჩვენი ფიქრი — წინააღმდეგობრიობით არეული, ჩვენს ბედისწერაზე მიბნეული, მხოლოდ ბუნდოვანი სურათების გახსენება და ერთი იმედი, რომელიც დასაბამიდან გვანუგეშებს, რომ თუ არ იცი სად მი-

დიხარ, ნუ ღელავ, ყველა გზა მაინც იქ მიგიყვანს.
და იქნებ ის ადგილია, სწორედ, ჭეშმარიტი
არსაით.

ernest hemingueis
`moxuci da zRva~

იმედი. უცნაური სიტყვაა. უცნაური მნიშვნელო-

ბის მქონე, რომლის წყალობითაც ვსუნთქავთ ყოველდღიურად და ველით...

მაგრამ რას?

სწორედ ესაა საინტერესო — რას ელი კაცი ბედისწერისაგან.

თუ ბედისწერაა წინასწარ დადგენილი, მაშინ რატომ ელის ის სასწაულს და რატომ განიცდის მტკივნეულად, როცა იმედები გაუცრუვდება.

თუ შემთხვევითობაა, მოულოდნელი, წინასწარგანუჭვრეტელი და მარადახალი, მაშინაც რა? მშვიდობა, ბრძოლა თუ გამარჯვება საბედისწერო შემთხვევითობაზე, რასაც ყოველწამს განიცდის და ფხიზლობს ან თვლემს, უძლებს ან ნებდება ადამიანი.

— გამარჯობა სანტიაგო, ... მოხუცო.

— გაგიმარჯოს.

— როგორ მინდოდა შენთან საუბარი, იმ დღიდან მოყოლებული, როცა პირველად წაგიკითხე, მაგრამ შემდეგ და შემდეგ უფრო რომ გავერკვიე შენს სამყაროში, თითქოს მერიდებოდა კიდევ, მაგრამ საბედნიეროდ, დღეს გვაქვს საუბრის საშუალება. მე ბევრ დროს არ წაგართმევ.

— არა უშავს, ვისაუბროთ რამდენიც გინდა, მეც დავისვენებ ცოტას. რა გაინტერესებდა?

— ყველაფერი. თუნდაც შენი სიზმრები, შენი საოცარი გამძლეობა, შეუპოვრობა, მამაცობა, რწმენა, გამარჯვების იმედი და ის დიდი სივაჟაკე, რასაც ამ ცხოვრებასთან ჭიდილში იჩენ.

— ზღვას გულისხმობ? იმ ზვიგენებს?..

— ამასაც და შენს სიმარტოვესაც, სიმარტოვის ამტანობას. სევდიანი ამოსუნთქვით რომ ამოაყო-

ლებ თითქოს რაღაც სანატრელს, რომ სიბერეში ადამიანი მარტო არ უნდა რჩებოდეს.

— ჰო, იმასაც გავიფიქრებ ხოლმე — ბიჭი აქ რომ ყოფილიყო, რა მოხდებოდა, მაგრამ სამყარო ასეა დაწერილი, ცხოვრებასთან მარტო რჩები ადამიანი, როგორც ქალთან.

— და მხოლოდ ისღა გრჩება კაცს, რომ გაუძლო ცხოვრების ასეთ საბედისწერო ინტიმურობას, როცა მეგობრები ვეღარ გიშველიან, მათთვის ადგილი აღარ რჩება ხომ? შენ, ზღვაზე ყოველთვის ისე ფიქრობ, როგორც ქალზე, რომელიც ან დიდად გწყალობს, ან სრულიადაც უარს გეუბნება.

— მიყვარს ზღვა.

ლამით გინახავს როგორია?

შიშველია, მშვენიერი და საშიშიც, როგორც ქალი, მთვარის ანარეკლი რომ უკრთის ტანზე. მთვარეც ისევე აღელვებს მას, როგორც ქალს. თითქოს თავისთან გიხმობს.

— და შენც ნავს შეაცურებ, ღრმად იკარგები, მიყვები მის სუნთქვას — მის ტალღებს. მიცურავ შორს, შენი დიდი თევზის საპოვნელად.

— საპოვნელად... და მოსაკლავად.

ის ჩემი მეგობარია, ჩემი ძმა, ამ ქალთან ან მე უნდა დავრჩე ან ის, მაგრამ არც ესაა მთავარი... ვფიქრობ, მთავარი ადამიანის დამოკიდებულებაა სამყაროსთან, და სამყაროს დამოკიდებულება ადამიანთან. ურთიერთობა. ესაა საინტერესო, სიხარულით და ტკივილით დატენილი, რაც გარდაუვალია, როგორც ბედისწერა.

— კი, ზღვაში ღრმად რომ შეცურდები და ანკესებს ჩაუშვებ, სწორედ მაშინ გაიფიქრებ, რომ

ბედი არ გწყალობს, თუმცა, ვინ იცის?

— ნიჩბების ყოველი მოსმით მგონია, რომ ბედი გამილიმებს. ყოველი დღე ერთმანეთს ხომ არ ჰკავს. ცხადია, კარგია, რომ კაცს ბედი გწყალობს, მაგრამ ზღვაში ყოფნისას ამის ფიქრის დრო არ მრჩება, მირჩევნია ჩემს საქმეს მარჯვედ ვაკეთებდე და როცა ბედი გამილიმებს (და ეს აუცილებლად მოხდება), მზად შევხვდე ჩემს ბედნიერებას.

— და მარტოდ მარტო თევზაობ გოლფსტრიმში, მთელი ოთხმოცდაოთხი დღე ზედიზედ გადიხარ ზღვაზე (თითქოს შენი ცხოვრებისეული წლები იყოს სიმბოლურლად ოთხმოცდაოთხი), ხარ ზღვაზე, მაგრამ თევზს ვერ იჭერ.

იკვებები იქვე დაჭერილი თევზებით, თინუსებით, უმ ხორცს ძალდატანებით ღეჭავ. ხელის კრუნჩხვებს და დასისხლიანებულ ჭრილობებს უძლებ (ყველა იმ ტკივილს, რასაც ეს ცხოვრება და მასთან ჭიდილი მოგაყენებს). სახლშიც მარტო ცხოვრობ — გაზეთგადაფარებულ საწოლზე გძინავს. მთელი დღის განმავლობაში თითქმის მშვიერი ხარ. ერთი პატარა ბიჭია მხოლოდ შენს გვერდით, შენი ერთგული და ირგვლივ მეტი არავინ. დიდი ზღვა და გარდაცვლილი მეუღლის ფოტო, სათუთად შენახული სუფთა პერანგთან ერთად.

— ჰო, ჩემო კარგო... სუფთა პერანგიც სიმბოლურია, არა?

ჩემი სულის, ოცნების თუ სიყვარულის სიმბოლო...

მართალია! სიბერეში მარტო არ უნდა რჩებოდეს კაცი, მაგრამ რას იზამ?!

— როცა ზღვაში ხარ და დღეები ერთმანეთს

მისდევს, ნავში რომ ათენებ და აღამებ და, ბოლოს და ბოლოს, დაიჭერ შენს დიდ თევზს, მაშინ გაგიელვებს ფიქრად, რომ ამ თევზის ხვედრი იყო ოკეანის ბნელ სიღრმეში ყოფნა, შენი ხვედრი კი მარტო წასვლა მის დასაჭერად სწორედ იქ, სადაც არც ერთი ადამიანი არ შესულა. და ერთმანეთზე გადაბმულები თითქოს ერთი საბედისწერო თოკით, თუ ანკესით, რჩებით ამ ზღვაში მარტოები და არავინაა თქვენი მშველელი.

— რა თქმა უნდა, არავინ. ცხოვრებაში ყველა იმ თევზს იჭერს, რისი დაჭერის შნოც აქვს. მაგრამ ბოლოს, შეგრჩება კი რამე? თვითონ ცხოვრება შეგარჩენს რამეს?.. ალბათ, ასე თუ გამოიცდება ადამიანი.

— ვის მიერ?

— რა გითხრა... ალბათ, ავტორის, ღმერთის თუ... განგების.

ჩემი სამყარო უცნაური წიგნია. მე და ზღვა. მეტი არაფერი.

სველი ფურცლები, სიტყვები გვერდებზე ტივტივებენ... ჩემი ნავიც მათ შორის სადღაც შეკარგული, ჩემი სიბერე, ჭრილობები... ტკივილი... და სიმარტოვე.

— და დავამატებდი — ის სიამაყე, რითაც შენ ტკივილს, კრუნჩხვებს, შიმშილსა და იმედისგაცრუებას სძლიე და ყოველდღიურობის ტანჯვას დაუპირისპირე... თევზი მაინც დაიჭირე. შენ გაიმარჯვე.

— მაგრამ იცი, როგორ გავწამდი, მისი დასახიჩრებული ჩონჩხი რომ გამოვიტანე ზღვიდან?!

— ზვიგენები კი თავისას ითხოვენ, ნელნელა,

მეთოდურად, ვერაგულად გეთამაშებიან, რომ ძალა გამოგეცალოს, დანებდე, ყველას ველარ გაუმკლავდე და შენს თვალწინ შეგიჭამონ შენი თევზი, მშვენიერი, დინჯი და კეთილშობილი, შენი ჯილდო ცხოვრებასთან ბრძოლაში, რომელსაც მაინც ზვიგენები წაგართმევენ საბოლოოდ.

რა იგრძენი, პირველი ზვიგენი რომ შენიშნე, მაკოს ჯიშის.

— რალაც სიმძიმე დამანვა მხრებზე.

ჩემი... ბედისწერის ძელი დამადეს სათრევედ თითქოს, და როცა ის წყეული ოკეანის სიღრმიდან ამოცურდება და ნავზე მიბმულ, ჩემი დიდი თევზის სისხლის კვალს გამოყვება, მივხვდი, რომ განწირული ვარ, თევზიც განწირულია.

— მაგრამ ვაჟკაცურად უმკლავდები მას.

— მასაც და სხვა ზვიგენებსაც ვკლავ, ნიჩაბზე მიმაგრებულ დანას შიგ თავში ვურტყამ, მაგრამ ზღვაში მათ რიცხვს ვინ მოთვლის, ისინი მოდიან და მოდიან.

საქმე მეტად კარგად მიდიოდა, არ შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო, უკეთესი იქნებოდა, რომ ყველაფერი სიზმარი ყოფილიყო.

თავიდანვე ნათელი გახდა, რომ ნაპირზე ისეთივე ხელცარიელი გამოვიდოდი, როგორც ზღვაში შევედი. როგორც დაბადება და სიკვდილი, ზუსტად ასეა. ნაპირზე მხოლოდ ჩემი იმედი და გამძლეობა გამომყვა, და კიდევ ის სიმარტოვე, რითაც შევცურდი ზღვაში... მეტი არაფერი. ზვიგენების თავდასხმას მე ველარ შევაჩერებდი.

— მაგრამ, შენვე არ ამბობ, რომ ადამიანი დამარცხებისთვის არაა გაჩენილი?

— კი. ადამიანი შეიძლება მოსპო, მაგრამ მისი დამარცხება შეუძლებელია. ამიტომ გეძახის ზღვა, რომ თუ შნო გაქვს და ამის მართლა გჯერა, ისევ თავიდან დაიწყო ყველაფერი, თუმცა წინასწარ გრძნობდე, რომ არაფერი გამოვა.

— ზვიგენები კი ყოველთვის მრავლდებიან ნავის გარშემო. ყველას ვერ გაუმკლავდება ერთი ადამიანი.

— ჰო. და ის ბედისწერის ძელი-მეთქი, რომ გითხარი... ზვიგენები, როცა ჩემს თევზს ჩაკბეჩენ და დაგლეჯენ, მეც თითქოს ამ ძელზე ვეკრობი ლურსმნებით, ჯვარს ვეცმები. მათი კუდების ტლაშუნი, აქაფებულ, სისხლიან წყალში ჩაქუჩის მოქნევასავითაა, ყოველი კბენა კი ლურსმნის დაჭედებაა ხელის გულეებში.

— გალანოს; ზვიგენის სახეობა. მეტაც მტაცებელი ჯიში.

— ჰო.

ცხოვრების გარდაუვალი აუცილებლობაა ეს შენი გალანოს.

ცხოვრების გაუმაძლარი მტაცებლობა, რაც აღარაფერს გიტოვებს. მაგრამ არავინაა დამნაშავე, მე თვითონ გავამრუდე ჩემი იღბალი.

— რატომ?

— ღრმად შევედი ზღვაში.

ზოგჯერ ვფიქრობ, ნაპირთან ახლოს ვითევზავებ-მეთქი, მაგრამ არ გამომდის. იქ, სიღრმეში, თითქოს ვიღაცა მიხმობს, ალბათ, ის ჩემი დიდი თევზი, რომელიც არასდროს გამოვა ჩემთან ნაპირზე, მე უნდა ვეახლო და ვიბრძოლო მისთვის, თორემ პატარა, ან რომელიმე მოხეტიალე თევზისთვის,

თავს არ შეინუხებს არცერთი ზვიგენი.

მე ჩემს ტყუპისცალს ვეძებ ზღვაში, მისსავე თავისუფლებაში განმარტოებულს, ყველა სხვა მეთევზისთვის უნახავს და დაუჭერელს. საამაყოს. ზღვაც მეძახის, — მოდი, ისევ ვცადოთ, ერთხელაც ვცადოთ, მოდი, არ დანებდე, იქნებ, ზვიგენებიც დაგეხსნენ ოდესმე, შენი ტკივილიც და ტანჯვაც მოგშორდეს.

და მეც ყოველი, შენი ან ვინმეს ნაკითხვით ისევ შევაცურებ ნავს... ამიტომ ვამბობ, დღეები ერთმანეთს არ გვანან, იგივე გვერდებზე კი ტივტივებენ, სიტყვებად მოცურავენ...

— მაგრამ, როცა ზვიგენების მიერ თევზი მთლიანადაა შეჭმული და შენ დამარცხებას გრძნობ, მაშინ... რა?... ეს სწორედ ის მარცხია, რაზეც ცოტა ხნის წინ ვისაუბრეთ.

— ჰო... ერთი წუთით შემეშინდა კიდეც, რაღაც უცნაური გემო ვიგრძენი, რაღაც სპილენძის თუ...

... და ოკეანეშიც ჩავაფურთხე, იმ წყეულთ ჩავძახე, ხარბად რომ მეცნენ — ჭამეთ გალანოს! ყელშიც გაგჩხერიათ!

— სიზმრადაც გეზმანოთ, რომ თქვენ კაცი მოკალით.

— კი.

— შემდეგ... გამოდიხარ ნაპირზე, ნავს იქვე ტოვებ, მეთევზეები გაკვირვებული უყურებენ, რადგან ამხელა ჩონჩხი არასდროს ენახათ, შესაძლოა, ერთგვარი სინანულიც დაეუფლათ, ან მიხვდნენ კიდეც, თუ როგორი პიროვნებაა სანტიაგო და რაოდენ დიდია ის, ვიდრე სხვა დანარჩენი.

— ოჰ, არ ვიცი.

— ანძას ქოხში მიაყუდებ, ნახავ შენს ბიჭს, უმცროს მეგობარს, ვინც ასე გელოდა მთელი ეს ხანი, და... იძინებ.

ვილაც ტურისტები კი, კარგი ცხოვრებით განებივრებულნი, თავიანთი კმაყოფილი სახეებით დაიარებიან სანაპიროზე.

და არაფერი იცვლება.

— რა უნდა შეიცვალოს, როცა გავიღვიძებ, ისევ ხომ ზღვაზე მივდივარ... ისევ ბრძოლა, ისევ ტკივილი, წინათგრძნობა, იმედები და... ყველაფერი სევდად იქცევა, ყველაფერი ერთ სიტყვაში თავსდება — მარცხი! მარცხი, რომელსაც ვერა და ვერ ვეგუები. და ალბათ, ვერც შევეგუები ვერასდროს.

— სწორედ ეს მაინტერესებს, რატომ?

— რადგან გავქრები მყისვე. გავქრები წიგნიდანაც და საერთოდ... ცხოვრებიდანაც... მხოლოდ ზღვა დარჩება, თავის ზვიგენებით და ეს სანაპიროც, გაცეხებული მეთევზეებით, ვისაც ყველაფერი წესრიგში აქვთ, რადგან ისინი ვერასდროს ითევზავებენ ასეთ დიდ თევზზე... ისინი თითქოს სხვა, უფრო მყუდრო თუ ილბლიან წყლებში თევზაობენ, ყველა ერთნაირად, ყველა ჩვეულებრივად, ზვიგენებთან ყოველგვარი ჭიდილის გარეშე, ტკივილებისა და მისწრაფებების გვერდზე ავლით.

— და ის ტურისტებიც, მუდამ ცნობისმოყვარენი, თავიანთი კმაყოფილი სახეებით, გახედავენ ზღვას, სადაც ადამიანის ბედი იწურება, მისი ჰორიზონტის მიღმა, თითქოს.

— და წარმოდგენა არ ექნებათ, თუ ამ ზღვაში რა ხდებოდა სინამდვილეში. ადამიანი არ უნდა

მარცხდებოდეს. მარცხს, ყველასთვის სანატრელი მშვიდობა მოსდევს, რადგან ბრძოლის თავი აღარავის აქვს, არც შნო, ალბათ. მე კი ბრძოლაში მხოლოდ გამარჯვებას ვნატრობ... მშვიდობა ძალზედ ბუნდოვანი რამაა. და მგონი, არც არსებობს საერთოდ.

— მაშ, აბა რა არსებობს?

— ... მე და ზღვა.

— ადამიანი და ცხოვრება?

— ჰო. ეს უკვე ბრძოლაა და არ ვაპირებ მარცხით დამშვიდებას. მართალია, ყოველი წაკითხვით იგივე ხდება — იგივე საქციელი, იგივე შეცდომები, იგივე ზვიგენები და იგივე სიმარტოვე, მაგრამ მე ვცდილობ...

... ვცდილობ, სიამაყე არ დავკარგო ამ ბრძოლაში. დადგება დღე და მე, თევზთან ერთად გამოვალ ნაპირზე. ეს უნდა შევძლო წიგნის ბოლოს.

— მაგრამ ჯერ გძინავს. დალილს და გულნატკენს, მარტო დარჩენილს გძინავს მშვიდად, რადგან ჯერ არაფერია დაკარგული, ბედისწერაზე ჯვარცმას დიდი სიხარულიც უნდა სდევდეს, ამ ნიშანს ლომები გაძლევენ, რომელთაც სიზმარში ხედავ.

გძინავს და გესიზმრება ის შენი ლომები. თითქოს სამყაროს დასასრულია წიგნის ბოლო, სევდიანი, მაგრამ დიდებული. ადამიანის გამარჯვებაა თითქოს ყველა ბედისწერაზე. და ეს კაცი სწორედ შენ ხარ, მოხუცო!

— ჰო, სიზმრებში ნუგეშად ვხედავ სხვადასხვა უცნაურ სურათებს; მე რომ დავნებდე, ყველას ეწყინება, იმ ჩემს ბიჭს, ასე რომ სჯერა ჩემი, ჩემს მკითხველსაც, რომელიც ალბათ ასევე განიცდის

და მეც, ერთ მოხუც მეთევზეს... და აღარც ლომები მოვლენ სიზმრებში. აი, მაშინ კი, მართლა დიდი სიმარტოვე დაინყება, როცა კაცს შენივე თავი მიგატოვებს.

— მაშ, ნახვამდის სანტიაგო, მე შენს მხარეზე ვარ.

— ნახვამდის.

— მომავალ ნაკითხვამდე.

ჩვენს სამყაროშიც, სადაც ანმყოს ძალაუფლება საშიშია, უნდა არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ჩვენი მოდგმის, ბედისწერისგან განთავისუფლების სიღრმეებს იპოვნიან და მათი პასუხისმგებლობის იმედით, რაც კაცის სისხლთან და ხორცთანაა წილნაყარი, ამ უცნაურ ჟამს შესაძლოა ყველამ ერთი სიზმარიც კი ნახოს. ვფიქრობ, ეს საოცარი ზეიმის ნიშანია, როცა კაცობრიობა ანმყოსთან თუ საკუთარ თავთან ჭიდილითა და ბრძოლით, სხვა გამარჯვებებთან ერთად, უპასუხისმგებლობაზეც გაიმარჯვებს. რალა უნდა იყოს ამაზე დიდი მისტერია.

Carlz dikensis

`oliver tvistis Tavgadasavali~

რისთვის უნდა იყოს მზად ადამიანი, როცა ის პირისპირ დგას ბედისწერის წინაშე? მითუმეტეს, თუ მას ჯერ გაცნობიერებული არა აქვს ცხოვრების სახიფათო რეალურობა და მის საქციელს და იმედებს ბავშვური მეოცნებობა ესაძირკვლება, რაც შესაძლოა მისივე ბედისწერის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფებოდეს.

ბავშვობა — ჩემი აზრით, ყველაზე დიდი მადლია ადამიანისთვის, ღვთის საჩუქარია, როგორც ავანსი წინასწარ ბოძებული ყოველდღიურობაში გასარკვევად. ადამიანის ცხოვრების ერთგვარი საძირკველია, რაზეც ყველა ჩვენი ოცნება, საქციელი და გამძლეობაა დაშენებული — პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის.

ვფიქრობ, ყველაზე მთავარ გამოცდას სწორედ ბავშვობაში გავდივართ.

— გამარჯობა ოლივერ.

— გამარჯობა.

— როგორ ხარ?

— გმადლობთ, კარგად.

— „ოლივერ ტვისტის თავგადასავალი“ — საოცარი წიგნი. სუნთქვაშეკრულიც კი ვყოფილვარ მის კითხვისა, გაღიმებულიც, სევდიანიც... და შენ წარმოიდგინე, ბედნიერიც.

— რითი?

— რა გითხრა... შენით, საერთოდ ყველაფრით, დასაწყისიდან ბოლო გვერდამდე.

— როცა სულ პატარა ვარ და როცა იმ სახლში

ვარ? სამუშაო სახლში?

— კი, ჩემო კარგო.

— და ბოლოსაც? როცა მისტერ ბრაუნლოუ სახლში წამიყვანს, ფეჯინი რომ სახრჩობელაზე მიყავთ და რომ...

— კი, კი, ყველაფერი ეს, მაგრამ იმდენი რამ ხდება შენს თავს და იმდენად საინტერესოდ, რომ მთელს შენს თავგადასავალზე მოგინწევს ლაპარაკი, რაც შორს წაგვიყვანს, იქნებ ჯობდეს სხვა დროს. დღეს არ გვინდა არც ფეჯინი, არც არავინ — ვისაუბროთ შენზე, კერძოდ, ერთ პატარა ეპიზოდზე, მეორე თავში რაცაა დაწერილი.

— ა, სამუშაო სახლში რომ წამიყვანენ და საჭმელი რომ არ გვყოფნის, და...

— კენჭს რომ ყრით ბიჭები, ამხანაგები... შენ რომ შეგხვდება — ზედამხედველთან დამატებითი ულუფის მოთხოვნა.

— ფუ, რა უგემური ფაფა იყო... და ისიც, ცოცა.

— ჰო, სწორედ ამაზე ვისაუბროთ, რადგან ვფიქრობ, ძალზედ მნიშვნელოვანი ადგილია მთელ წიგნში: სადაც შენ ცხოვრების სინამდვილის შეგრძნებას იწყებ და თითქოს საბედისწერო გამოცდას გადიხარ.

— მე დამსჯიან და გამლახავენ.

— კი, და უფროსებში, შენს გაძევებაზე მიდის საუბარი.

— ასეც მოხდება. მერე ახალ მეგობრებს შევიძენ... ლონდონში რომ წამიყვანენ ახალ მეგობრებს შევიძენ — ქურდებსა და მარტოხელა ადამიანებს.

— კი, თქვენ ერთად ცხოვრობთ... ეს მერე... მა-

- გრამ მანამდე შენ სამუშაო სახლში ხარ, სადაც...
- თითებს ვილოკავთ სადილისა და ვახშმის შემდეგ, რადგან ფაფა არავის გვყოფნის.
 - და ყოველდღე მშვირები ხართ.
 - ზედამხედველები ძალიან მკაცრები იყვნენ.
 - ამ სახლში ბავშვები თვეების მანძილზე ასე ცხოვრობდით, შიმშილისა და ობლობის ტანჯვას ითმენდით და ერთ მშვენიერ დღეს გადანყვიტეთ, რომ...
 - დიახ, იქ ერთმა ბიჭმა თქვა, რომ თუ ფაფას არ მომცემენ ცოტა ბევრსო, ლამით ვინმეს შევჭამო.
 - საშინელი თვალები გაუხდა — ჩემს გვერდით ვისაც სძინავს, იმას შევჭამო.
 - თქვენც დაიჯერეთ მისი ნათქვამი.
 - ყველამ დაიჯერა, რომ მართლა ასე მოხდებოდა, თან სულ მე მიყურებდნენ... ისეთი ბოროტები გახდნენ, რომ ჩემი შეჭმა მოუნდათ.
 - და... შემჭამდნენ?
 - ვერ გეტყვი... იმ საღამოს თქვენ მოილაპარაკეთ, კენჭი გეყარათ — თუ ვინ მოთხოვდა ზედამხედველს დამატებით ულუფას.
 - კენჭი ვყარეთ და მე შემხვდა. იცი, რა სიჩუმე იყო ირგვლივ, თითქოს რამე დავაშავე. დავიბენი და შემეშინდა, ისეთი სიჩუმე იყო.
 - ო, აი, საინტერესო ადგილზეც მოვედით ოლივერ, რადგან, ჩემი აზრით, ამ კენჭისყრამ განაპირობა შენი ბედი, შენი მომავალი ცხოვრება, მთელი წიგნი და თავგადასავალი.
 - რომ დამსაჯეს, ამის გამო? მე რომ მივედი და ვთხოვე, თუ შეიძლება სერ, ცოტა კიდევ დამიმატეთ და ყველა ჩემს ირგვლივ რომ დადგა და

ზემოდან მიყურებდნენ საშინელი სახეებით და რომ წამათრიეს და დამცინოდნენ, თან ჩემზე თითოთ აჩვენებდნენ — ვინც ასე მოიქცევა, დაისჯებაო და მერე რომ გამაგდეს და რომ გავიქეცი?

— ზუსტად ეს.

რადგან კენჭისყრა, რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგეჩვენოს, შენი ბედისწერის მთავარი კვანძია. აი, ნახე, შენ რომ არ შეგხვედროდა, ხომ სხვას შეხვდებოდა?

— დიახ.

— იმ სხვას დასჯიდნენ და მოკვეთავდნენ, შენ აღარ იქნებოდი რჩეული.

— და ყველაფერი შეიცვლებოდა?

— რა თქმა უნდა, პირდაპირ მოთხოვნას ხომ ვერავინ ბედავდა? ამიტომ არ მოიფიქრეთ კენჭისყრაც? და სხვა რომ ყოფილიყო შენს ადგილზე, ვინ იცის, რა მოხდებოდა, შეიძლება გემზეც გაგამწესებდნენ, რაზეც, სხვათაშორის, იყო საუბარი. არც ლონდონში აღმოჩნდებოდი, ფეჯინსაც ვერ გაიცნობდი, ვერც ახალ მეგობრებს შეიძენდი, ვერც ცხვირსახოცებს მოიპარავდი...

— და მისტერ ბრაუნლოუსაც არ შეხვდებოდი? ვინც ბოლოს მიხსნის და სახლშიც ველარ დავბრუნდებოდი?

— ალბათ, ვერა, ან დაბრუნდებოდი, მაგრამ არა ასე, არა ასეთი თავგადასავლით. ყველაფერი მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო, როგორც წერია. უცნაურია, არა?

— ძალიან, და შემთხვევით მოხდა? თუ?..

— ო, ესაა სწორედ ბედისწერა, რას იტყვი?

— მე მაშინ შემეშინდა, მარტო ჩამკეტეს ამის

გამო ოთახში, სიბნელეში... და ყველა დამცინოდა.

— კი, დამატებითი ულუფის მოთხოვნა იმ საშინელ სახლში სასტიკ დანაშაულად ითვლებოდა.

— ჭამის მერე თეფშებს და კოვზებს ისე ვლოკავდით, ისეთი სუფთა იყო, გარეცხვაც აღარ სჭირდებოდა...

მე ჩემთვის არ მომიტხოვია... იმ ბიჭის გამო მოხდა ყველაფერი და წკეპლით მცემეს ზედამხედველებმა, სიბნელეში ჩამკეტეს მარტო და ვტიროდი. შენ ჩაუკეტიხართ სიბნელეში? იცი, რა ცუდია, კუთხეში რომ ჩაიმალები, კედელს ეკრობი შიშისაგან და ვერ იძინებ, თვალებზე ხელს იფარებ, რომ სიბნელე არ დაინახო.

— ჰო, ამ ადგილის კითხვისას ცუდად ვხდებოდი. ვიცი. ლოცვისას, დანარჩენი ბავშვების წინაშე, შენი ზედამხედველი ხაზგასმით ამბობდა, რომ ღმერთს ეპატიებინა შენთვის, რადგან დიდი სიბოროტე ჩაიდინე და ბავშვი კი არა, საერთოდ ადამიანი კი არა, ეშმაკის ქარხნიდან გამოშვებული რაღაც ნივთი იყავი. ხომ სასაცილოა.

— დიახ. მერე მისტერ ბამბლი, ის ზედამხედველი, რომელიც სამ ფუნტად და ათ შილინგად გამყიდის, სულ მეუბნებოდა — არავინ შეგიყვარებსო და მე ცრემლები რომ მომდიოდა, დამცინოდა — ნუ ტირი, ნუ ტირი, ფაფაში ეწვეთება შენი ცრემლები და უაზრობააო, ფაფა ისედაც წყალზეა დამზადებული და შიგ წყლის მეტი არაფერიაო.

— შენ კი, მიჰყვები ჩემო კარგო, ყოველ გვერდს, მარტოდ მარტო მიჰყვები ყოველ წინადადებას, რითიც შენი თავგადასავალი იწერება.

— კენჭისყრის დროს, მაინც და მაინც მე რატომ შემხვდა ფაფის მოთხოვნა, მე ამას არ ვნატრობდი.

— რადგან გმირი შენ ხარ ოლივერ, და შენი სახელი ჰქვია ამ წიგნს, რომელიც ყოველი ჩვენგანის თაროზე დევს.

— რადგან ეს ჩემი ბედისწერაა? ასე უნდა ყოფილიყო და არა სხვანაირად?

— კი.

კარგი, მითხარი, აბა რას ნატრობ, რაზე ოცნებობ?

— რაზე და... იმაზე, რომ ყველას ყავდეს დედა და მამა, და კიდეც, იცი, რა...

— რა აბა, თქვი...

— ოღონდ, არავის უთხრა.

— მითხარი, მითხარი.

— რაზე და სულ დასაწყისში, მე რომ ვიბადები...

— პირველ თავში.

— დიახ, მე რომ ვიბადები, ისე დავიბადო, რომ დედაჩემი არ კვდებოდეს.

— ...

მისტერ ბრაუნლოუ გიყვარს? შენი გამზრდელი და ბიძა?

— ძალიან... მე ყველა მიყვარს, მისტერ ბრაუნლოუსაც ყველა უყვარს და იცი, რას მეუბნება? იმას, რომ ყოველთვის უნდა მახსოვდეს ისინი, ვინც ოდესღაც დამიცვა და შემეფარა, ვინც მოწყალე იყო და ისინი თუ არ დამავინყდება, მე ბედნიერი ვიქნები.

— ახლა, ბედნიერი ხარ?

— დიას.

— რადგან ყველა სიკეთე გახსოვს?

— დიას, მე ყველაფერი მახსოვს.

კიდევ იმიტომ, რომ დედას ვუყვარვარ, მე ვგრძნობ ამას. ის სულ ჩემთან არის, უბრალოდ, ეს არ ჩანს, მაგრამ მე სულ ვგრძნობ. როცა დავიბადები, დედა მაკოცებს და ჩამიხუტებს და მერე, რომ მოკვდება... მისი ხმა მახსოვს და მისი სითბო ყოველთვის თან დამყვება.

— კი მაგრამ, საკუთარი დაბადება და ყველაფერი ეს, რაც მითხარი, როგორ გახსოვს?

— რატომ გაგიკვირდა? არ იცი, რომ ბავშვებს ყველაფერი ახსოვთ? მითუმეტეს მე, რამდენჯერაც წამიკითხავ — სულ ასეა.

— მართალი ხარ, ჩემო კარგო. და ისიც საოცარია, თითქოს მისმა სიყვარულმა გატარა მთელი წიგნი. ყოველი გვერდი და აბზაცი, თითქოს სხვა სამყაროდან — წიგნის მიღმა სამყაროდან გამფარველობდა ჩვენთვის უხილავად, რაც არ სჩანს წინადადებებს შორის.

— და შეიძლება, დედა მომეხმარა იმ კენჭისყრის დროს? ჩემი ამხანაგები რომ გამგელებულები მიუყურებდნენ.

— ეს ჩვენ არ ვიცით, შეიძლება ის, შეიძლება წიგნის ავტორიც. მთავარია, რომ შენორივეს იმედი გაამართლე, ოლივერ... და რომ კეთილშობილი ადამიანი დარჩი ბოლომდე, იმ ყველაფრის მიუხედავად, რაც თავს გადაგხდა, რომ ყველა გამოცდას გაუძელი და ჯილდოც მიიღე წიგნის ბოლოს — სახლი, სიმშვიდე და ბედნიერება. და მთელ თავდასასავალში შენი შინაგანი, სწორედ ის კეთილ-

შობილი სიტყვა არ წაგეშალა, რითიც წერიხარ და რითიც ბევრი ადამიანი წერია ამ ქვეყნად.

ახლა კი, მშვიდობით ოლივერ. ოლივერ ტვისტ, მეტს აღარ მოგანყენ შეკითხვებით. დღეს კარგი დღეა საკითხავად, გამაგრდი და ნულარ შეგეშინდება კენჭისყრის დროს, ბედისწერამ შენ ამოგირჩია, შენ მისი არჩევრანი ხარ, ამიტომ მხნედ შეხვდი მას.

— მე სულაც არ მომიწყენია. და რომ გითხარი, ის ჩემი ოცნება, ამიხდება როდესმე?

— პასუხს თვითონ წიგნი გაგცემს... მე მგონი, კი, ერთ მშვენიერ დღეს, მაგრამ როდის, მე ეს არ ვიცი.

— მაშ, ნახვამდის, მე დაველოდები იმ დღეს.

— ნახვამდის ოლივერ, ვაჟკაცო ბიჭო, ყოჩაღად, მომავალ წაკითხვამდე.

დღეს ბევრი ჩვენგანისთვის ძნელად ასატანია ყოფიერების სიმკაცრე, და ხშირად, ბავშვობაგაძარცვული ბავშვები, მიტოვებულნი ან კეთილი მზრუნველებისაგან დაობლებულნი, ერთგვარი არჩევანის წინაშეცდგანან, ვის რა შეხვდება კენჭისყრის დროს არავინ იცის, ვინ როგორ გაუძლებს, რას აირჩევენ ყველაზე გაბოროტებულები ან ყველასთვის მიმტევებლები... და როგორ მოუბრუნდება ქვეყანას მათი არჩევანი — მათი ბავშვობა.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ მათ ვერ გაუძლონ ამ მთავარ გამოცდას, ღმერთმა ნუ ქნას!

evripides
`medea~

ჩვენი საქციელი და ჩვენი ყოველი ნაბიჯი წამში იკვრება. და თუ ის ფაქტად რჩება, მას დრო, რომელიმე შორეული მომავლისათვის ლეგენდად აქცევს, წარსულის ექოთი ანმყოს დაუბრუნებს და მომავალიც ამავე ლეგენდით იქნება განცდილი.

ისტორიას ლეგენდებით ეძლევა განსაკუთრებული შინაარსი, სადაც ადამიანთა საქციელი ის კონკრეტული წამია, საიდანაც დროის ზოგადობა იღებს სათავეს.

მაგრამ საქციელის აღმწერი, ემოციისა და მეტი წარმოსახვითობის გამო ფაქტებს ცვლის და ადამიანს ის მიეწერება, რაც არ ჩაუდენია. დაფიქრებულა ვინე იმაზე, რა განსაცდელი ელის მაშინ გმირს?!

— გამარჯობა მედეა, კოლხეთის დედოფალო.

— გამარჯობა. ცოტა დრო მაქვს, ჩქარა მითხარი, რა გინდა.

— ... ისეთი არაფერი... რამდენიმე შეკითხვა მაქვს.

— გასაგებია. შენც ისეთივე ყოფილხარ, როგორც სხვები.

— რატომ. მე ხომ ჯერ არაფერი მითქვამს.

— გგონია არ ვიცი, რა უნდა მკითხო?.. ჩემი საზარელი შურისძიების ამბავი. ასეა?

— დიახ, ასეა. და აქვე გეტვი, რომ არაფერი მინახავს ქვეყნად, უფრო საშინელი და შემზარავი, ვიდრე შენი საქციელი.

როცა ევრიპიდე გადავშალე, გავოცდი — შენ, კოლხეთის დედაუფალი, ბრძენი ქალღმერთი, ასეთ ცოდვას რომ სჩადიხარ.

— ცოდვას? რა იცი შენ, რა არის ცოდვა!.. კარგი, მაშ ამბობ, რომ ევრიპიდეს ეყრდნობი, არა?

— დიახ. შენს ავტორს.

— ოჰ, „ჩემს ავტორს“... და რას წერს ის, აბა, თქვი.

— რას და... თუ როგორ მიატოვე სამშობლო, მამა მოატყუე, კოლხეთის მეფე, სხივოსანი მზის შვილი აეტი. მოაკვლევინე ძმა... იაზონს დაეხმარე ოქროს სანმისის მოპოვებაში და არგონავტებს გაყევი... მეტიც, ყველაზე შემზარავია — გამნარებულმა რომ ჩახოცე ბავშვები — შენი საკუთარი შვილები, როცა იაზონმა გადაწყვიტა გაგყროდა და კორინთის მეფე კრეონტის ქალიშვილი ეთხოვა ცოლად.

წარმოუდგენელია, თუ როგორი ცბიერებით სჩადიხარ ყოველივე ამას.

— ჩემო კარგო, შენ ის გამოგრჩა, რომ იაზონის ახალი საცოლვე მოვკალი. მოვნამლე შხამით.

— კი! იაზონისა და შენი შვილების ხელით, ძღვნად რომ გაუგზავნი სამოსელსა და გვირგვინს მონამლულს. ვითომ მრისხანებამ გადაგიარა და მორჩილად დაეთანხმე ქმრის გადანყვეტილებას, ვერაგული გეგმა კი ხელაუკანკალებლად მოიყვანე სისრულეში.

როგორ? საიდან ამდენი ბოროტება?

— ო, ღმერთებო, ნუთუ ამ ტანჯვას ბოლო აღარ მოელება! ეჰ, კარგი, ცოტა დრო მაქვს, მართალია, მაგრამ გეტყვი ორიოდ სიტყვას, ვიდრე გავიხიზნები და ეგეოსის სამეფოში შევაფარებ თავს.

— გისმენ. მე მზად ვარ.

— არგონავტები კოლხეთს მოადგებიან, ოქროს სანძისის მოსატაცებლად. მამაჩემი მათ წინაღუდგება.

ღიას! მე იაზონი შემიყვარდა, მათი წინამძღოლი და დავებმარე მიზნის მისაღწევად. და ამის გამო, დავტოვე სამშობლო, სახლი, მამა, საკუთარი თავიც კი გადამავიწყდა...

მაგრამ გადის დრო და...

— და...?

— იაზონი მღალატობს. ვერაგულად. ოჯახს ტოვებს, შვილებს, ჩვენ შვილებს, ორ ბავშვს. მტოვებს მეც და მეფის ასული მოჰყავს ცოლად.

კრეონტი, მისი სასიამაორო მიბრძანებს — შმაგო მედეა, ქმარზე ნაწყენო, განდევნილი ხარ ჩემი ქვეყნიდან. უნდა, რომ გადავიხვეწო შვილებთან ერთად, რადგან მისი ქალიშვილი, თურმე ჩემს ქმარს მიჰყვება ცოლად.

— და ამაზე გამწარებული, საკუთარ შვილებს ხოცავ?

— ეს შენ გგონია, რომ ვხოცავ.

— მე გგონია?

— ღიას. რადგან სინამდვილეში, ასე არ არის.

— რას ნიშნავს სინამდვილეში. შენი წიგნი — შენი სინამდვილეა.

— არა და არა. ის სისხლიანი ფურცლები

ცილისნამებითა ნანერი, ის ასლია, უსინდისოდ შეცვლილი ავტორის მიერ.

ჩემი სინამდვილე კი მითებია ჩემო კარგო — მითები, საიდანაც გადმოწერა მან ჩემი ბედი და იმდენი სითავხედვეც აღმოაჩნდა, რომ ქვეყნიერებას კოლხეთის დედოფალი, როგორც შვილებისა თუ ძმის მკვლელი, გაიძვერა და ცბიერი ქალიჯადო, წარუდგინა.

— და... მითოლოგიაში რო...

— მითებში ვარ ისეთი, როგორიც ვარ! ქმრის ერთგული, პატიოსანი. მაგ შენს წიგნში კი... უზუნო შურისმგებელი, ღირსებაშელახული მდაბიო ადამიანი, ვინც კმაყოფილდება ქმრის გამწარებით, იმით, რომ საცოლეს უკლავს და შვილებს უზოცავს, რათა მოღალატე ქმარი დაასახიჩროს სამუდამოდ და ამ ტანჯვაში აცხოვროს, რადგან თვითონაც იტანჯება, ქალური თავმოყვარეობაგათელილი.

... ვითომ ამით ქალის ხასიათი აჩვენა...

ორ ათასწლეულზე მეტია, ასეთი განსაცდელი მაქვს მოსჯილი, რადგან ავტორმა ჩათვალა, რომ თურმე ასე უფრო საინტერესო იქნებოდა მკითხველისათვის, და ტყუილით ამოკანრა ყოველი ასო, ყოველი სიტყვა.

ცოცხალი რომ იყოს, ჰკითხავდი მას ჩემს შესახებ და მისი სინდისი თუ სუფთაა, ის სიმართლეს გეტყოდა.

— მაგრამ ის დიდი ხნის გარდაცვლილია, საუკუნეებისა და ათასწლეულების წინ. როგორ გავიგოთ, რა მოხდა სინამდვილეში?!

— მე გითხარი! სინამდვილე მითოლოგიაა. მითების ავტორი არავეინ იცის ვინაა, რადგან ის თა-

ვად ცხოვრებაა, სხვადასხვა დროების, თაობების, გმირების და მათი ბედისწერათა დიდი სამყოფელი. ევრიპიდეს კი მე დავჭირდი სახელის მოსახვეჭად — და მიაღწია კიდევ ამას თავისი უპასუხისმგებლობით.

...მაგრამ მე ვპატიობ მას ამ შეცდომას... მე ხომ მედია ვარ, კოლხეთის დედოფალი, ბუნების საიდუმლოებების მცოდნე... და მასზე მეტი ვიცი და მისი წიგნიდანაც ყოველთვის დავიხსნი თავს... იცი, სად მივდივარ?..

— როგორ არა, შენ თვითონ არ თქვი? და წიგნშიც ხომ წერია, რომ ეგეოსის სამეფოს აფარებ თავს. ამის სანაცვლოდ ეგეოსს წამალს მისცემ, უშილობის მოსარჩენს, მას მეუღლესთან შვილი არ უჩნდება და დელფოს სამისნოშიც კი იყო მიზეზის გასაგებად.

— ჰო, ეგეოსთან მივდივარ. იაზონს დამცინავად მივაძახებ, — შენ შენი საცოლე დამარხე-მეთქი, რომლის სიკვდილს, სხვათაშორის, იმავნამს კრეონტიც შეენირა, მისი მამა — ერთად იწვებიან იმ შხამით, სამოსელსა და გვირგვინზე რომ აქვთ ნაკუთრები... ამბის თხრობას რომ გავყვეთ, ასეა ხომ?

— კი, ასეა.

— და იაზონი რჩება მარტო, მე კი მივდივარ... მაგრამ...

— მაგრამ რა?

— აქ წიგნი მთავრდება და ვთავისუფლდები.

რადგან მე, მხოლოდ ამ ტუტუცი ბერძენის წიგნში ხომ არ ვწერივარ;

მე სხვა წიგნის გმირი ვარ — მითების...

ეგეოსის სამეფოდან მითებში ვბრუნდები, ჩემს სინამდვილეში, შვილებთან ერთად, იქ, სადაც ბედნიერი ვარ.

— ტუტუცი ბერძენის?

— ჰო, ტუტუცია! რადგან ბარბაროსებად მოიხსენიებს დიად კოლხეთს, სხივოსანი მზის საუფლოს.

— და აბა... ამ წიგნს რა ვუყვოთ, შენი სახელით ყდაზე.

— თქვენ დაიტოვეთ და იკითხეთ, რამდენიც გინდათ. ეს ხომ ტყუილია. ღმერთებმა არ გამწირეს და მითებიდან არ ამომშალეს. დაე, განვიცადო ეს უბედურება წიგნის ყოველი გადაშლით, არა უშავს, წიგნს დახურავ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

არცერთი დედა არ განირავს შვილს, რაც არ უნდა გაამწაროს ქმარმა, გინდ ბედისწერამ. მითუმეტეს, თუ ის მზის შთამომავალია, მედეადედოფალი.

— ახლა გასაგებია, თუ რატომ მითხარი — რა იცი შენ, ცოდვა რა არისო?.. და ყველაფერს მივხვდი... წარმომიდგენია, რას განიცდიდი, როცა ოთახში ბავშვების დასახოცად შედიხარ.

— ო, ამას ნუ მახსენებ! ერთი სული მაქვს ხოლმე, წიგნი დამთავრდეს და იქიდან გავალწიო. კიდევ კარგი, წიგნის დახურვისას ბავშვებს აღარაფერი ახსოვთ.

ევრიპიდემ რაც გამიბედა, თავს რომ მოახვია ადამიანებს დიდი სიცრუე, ეს ხომ ცოდვაა.

— დიახ.

— მაგრამ გითხარი, ვპატიებ!

ვპატიებ, რადგან ის, რაც მან დაწერა, დრამაა, თამაში, რომლის წესებიც ბევრმა არ იცით. ითამაშეთ რა, ოლიმპოზე ალბათ კარგად ერთობიან ღმერთებიც — ადამიანთა ამპარტავნობის შემყურე, როცა ჭკვიანური სახეებით, რალაცეებს მიედმოედებით და წარმოდგენა არა გაქვთ, თუ რა მოყვება თქვენს საქციელს.

მორჩა. შენი დრო ამოიწურა. მე მივდივარ.

— ვიდრე წახვალ, მინდა იცოდე, რომ შენს სამშობლოში უყვარხარ და ძეგლი გიდგას, ჩვენთან საქართველოში, კოლხეთში.

— ო, დიდი მადლობა... და... როგორ გამოვიყურები იქ?

— ბავშვებთან ერთად, დედოფალო, შენ მათ ხელს აფარებ, თითქოს რალაც უბედურებისაგან იცავ.

— მადლობა ღმერთებს. ეტყობა, ოსტატმა იზრუნა ამის შესახებ...

ახლა კი, ნახვამდის.

— ნახვამდის. მომავალ წაკითხვამდე.

ღვთის წყალობით, ჩვენი ისტორია სავსეა იმ ავტორთა დიადი სახელებით, რომელთა მიერ შექმნილი სამყაროების სრულყოფილებას აღტაცებაში მოყავს ყოველი აღმქმელი. მაგრამ რას ითვალისწინებს ავტორის პასუხისმგებლობა, როცა ის ქმნის? და გმირის ბედი ინერება ისე, რომ ჩამოშორებული რჩება იმ სინამდვილეს, რაც ამ ქმნილებას ესაძირკვლება, სადაც გმირები საკუთარი ბედისწერით ცხოვრობენ.



თუ ავტორისთვის გმირის ბედისწერა ნება-
დართულია, მაშ რაღაა უფლება — პასუხისმგე-
ბლობა თუ უპასუხისმგებლობა.

შესაძლოა თავად სიტყვამ უფრო მეტი იცოდეს
თავის თავზე, ვიდრე მისმა დამწერმა.

rediard kiplingis
`junglebis wigni~

— ჩვენ ერთი სისხლისანი ვართ, შენ და მე.
გამარჯობა კაა.

— ილბლიანად გენადიროს.

— „ჯუნგლების წიგნის“ კითხვისას, ყოველ
თქვენგანს დიდი გულისყურით გისმენდით. რას
წარმოვიდგენდი, ერთ მშვენიერ დღეს რომ გაგ-
ესაუბრებოდი.

— მზის ქვეშ არაფერია უცნაური.

...ჩვენ ორს შორის დღეს ვილაცას გაუმართ-
ლებს...

— კაა, არა, არა, მე შენთან საუბარი მინდა,
მხოლოდ საუბარი.

— საუბარი...

ჯუნგლებში ყველაფერს თავისი ჟამი აქვს,
დროები გადიან და დუმილი მაინც ვერ ცვლის
უმეცრებას...

...ქადაგებები — სიბრძნეს...
გისმენ.

— შენი პირველი გამოჩენა წიგნში მაუგლის
მოტაცებასთანაა დაკავშირებული, როცა ბალუ
და ბაგირა, შენთან დახმარების სათხოვნელად
მოვლენ.

— ჰოო...

უჯიშო ხალხია მაიმუნები. უნესო ბან-
დარლოგები, რომ გათავხედდნენ და ჯუნგლებს
მოაჯდნენ.

— მახსენდება მაუგლიზე განრისხებული
ბალუ, როცა მას ჯუნგლების კანონს ასწავლიდა:
რომ ბანდარლოგებს წესი არა აქვთ, არც საკუ-
თარი ენა და რომ მათი ადათი ჯუნგლების ადათი
არაა, რომ მათ არაფერი ახსოვთ, მხოლოდ ლაყ-
ბობენ და იკვებხნიან, თითქოს დიდი გმირობები
მათი ჩადენილია; ისინი წინამძღოლის გარეშე
ცხოვრობენ და მათთან საქმეს არავინ იჭერს,
არავინ ნადირობს იქ, სადაც ისინი ნადირობენ,
იმ წყლიდან არ სვამენ, საიდანაც მათ დალიეს და
არავინ კვდება იქ, სადაც ისინი კვდებიან. ჯუნ-
გლების ხალხს მათი ხსენებაც არ უნდათ. ისინი
ყოველთვის ბევრი არიან, ყოველთვის ბინძურე-
ბი.

ერთადერთი, რაც მათ უნდათ — ყურადღების
მიპყრობაა, მაგრამ მათ არავინ არად აგდებს,
გინდ ზემოდან თხილები და ტოტები დაგვიშინონ.

— ბანდარლოგები... ჯუნგლების სირცხვილ-
ია... კი.

ჯუნგლების პირველი მტერი.

— პირველი მტერი?

- ჯუნგლებს ორი მტერი ჰყავს — სირცხვილი
— სიტუტუცე და ამპარტავნება — ჩვენი ყვე-
ლაზე ავი მტერი.
ისინი ბევრნი არიან — წითური ძაღლები.
— გასაგებია, და შერხანი?
— შერხანი მკვლეელია, ზავის დამრღვევი. ის
ყოველთვის დაისჯება, რადგან ნადირობს მხ-
ოლოდ იმიტომ, რომ მოკლას და გაერთოს და არა
თავის ან ოჯახის გამოსაკვებად.
— დაისაჯა კიდეც... მაშ სირცხვილი — ბან-
დარლოგები, და სიტუტუცე — გაავებული ამპარ-
ტავნება, ხომ? ველური წითური ძაღლები.
ორივეს შენი წყალობით მოეღება ბოლო, როცა
მაუგლის მაიმუნები მოტყუებით გაიტაცებენ,
ბალუ გამოსავალის ძიებაში ბაგირას, ხათხის
სიტყვებს ეუბნება, სპილო ამბობდა, რომ ნები-
სმიერ ჩვენგანს თავისი შიში ჰყავს და კაა ბან-
დარლოგების შიშია.
— ჰაა... ჩემი სახელის ხსენებისას მაიმუ-
ნებს ძრწოლვა იტანთ და დანახვისას ადგილზე
იყინებიან...
ო, დიდებული ნადირობაა.
— შენ საშინელ ცეკვას იწყებ — შიმშილის
ცეკვას და მათ უბრძანებ, რომ მოგიახლოვდნენ.
— ახლოს და ახლოს...
— მაგრამ მათი სიკვდილი, მაინც და მაინც
შენ რატომ ხარ?
— ჯუნგლების სირცხვილს ჯუნგლების
კანონი კლავს, სიმხდალეს — ღირსეულობა...
უმეცრებას — სიბრძნე.
— და რას ნიშნავს, ჯუნგლების კანონი, ან ვინ

შექმნა ის, ვინ დაწერა.

— კანონი იმავე სიტყვებით წერია, რითიც ჯუნგლების წიგნი, და ყოველი არსიც შიგნით, გინდ პეპელა, ფოთოლი ან მხეცი. ჯუნგლების კანონი მარადისობის წესია — ის ყოველთვის არის... არც იყო და არც იქნება, ყოველთვის არის.

... წესი მარადისობის ბორბალია და ყოველი ჩვენგანის გარშემო ბრუნავს ერთ დიდ კანონში შეკრული. რაც დროს აბრუნებს, ის თავად წიგნია, გადაშლილი ან დახურული.

— და ყველაფერი წარმავალია?

— ყველაფერი წარმავალიცაა და მომავალიც ერთდროულად. მე ყველა მკვდარი დრო მიწახავს, რაც კი თაობებში ყოფილა და ახალი არსად არაფერია.

— წარმავალი და მომავალი, ერთდროულად?

— უცნაურია?

ისინი ბორბალით ბრუნავენ ერთმანეთის გარშემო და ბორბალი კი იცი, რა არის? — ანმყო, რაც ყოველთვის არის... გახსოვს, რას ეუბნება აკელა თავის ხროვას, თავისუფალ ხალხს?

— მგლებო, იყავით ფხიზლად!

— კარგად დაიმახსოვრე! რადგან ამით თუ ამოხსნი ჯუნგლების კანონის საიდუმლოს, რომლის გასაღები ყოველთვის შენს წინ დევს. იმ ადგილას, რასაც შენ ანმყოს ეძახი, სადაც იმწამს სუნთქავ და სადაც ნადირობ. ამიტომ, იყავი ფხიზლად... ნადირობისას.

— რათა ეს ჩემი ანმყო წარსულში არ გამისხლტეს და ის საოცნებო მომავალი ამავე ანმყოდ არ შემომეპაროს?

— შენ ადვილად ითვისებ.

— გმადლობ, და... შენი ცეკვა?

— ჩემი ცეკვა წრედ დახვეული მარადისობის ბორბალს წააგავს, შიშის ზარის დამცემი ბევრი ხვეულებით, შემდეგ კი გაჭიმული ნატყორცნი ისარივით რომ იელვებს და... ო, რა ლამაზი სანახაობაა, მაგრამ არ გირჩევ.

— ვიცცი, ვიცცი, როცა ბანდარლოგებს მუსრს ავლებ, ბალუ და ბაგირა და მაუგლიც... წამით... გიახლოვდებიან გაბრუებულები, შემდეგ მყისვე გონს მოდიან, მაუგლის თვალებზე თათს აფარებენ და გეცლებიან.

კარგი. ანკასის შესახებ? აქ რაიმე სიმბოლო ხომ არაა, რაიმე დაფარული სიბრძნე.

— ანკასი თვითონ სიბრძნეა. სპილოების სამართავი ანკასი, ის სხვა სიმდიდრეებთან ერთად ძველ ქალაქში ინახება, ჯუნგლებში ჩატოვებულ ნასახლარში.

— სიმდიდრეს, თეთრი კობრა იცავს. ასეთი ძვირფასეულობის სანახავად ადამიანები ბოლო სუნთქვასაც მისცემდნენ, ამბობდა ბებერი თეთრი კობრა. ანკასს ფირუზის ტარი აქვს, ნეფრიტის საყელო, ზურმუხტის და ბადახშის ჩუქურთმებით, ბასრი ფოლადის პირი მოოქროვილია. მისი წამოღების შემდეგ, იმ ღამესვე ექვსი კაცი მოკვდა ჯუნგლებში და მაუგლიმ უკან ჩააგდო ანკასი.

— ჰო, კობრამ ხომ გააფრთხილა: არ წაიღო, რადგან იგი სიკვდილიაო. ბაგირა ეუბნებოდა, ანკასი არაფერ შუაშია, ადამიანებშია საქმეო.

— ყოჩალი ბაღლია მაუგლი... სწორად აირჩია — სიბრძნე ძვირფასია ადამიანისთვისაც და

გველისთვისაც, მაგრამ საშიშია, თუ ვერ უკვირდები საქციელს და მუდამ ბრწყინდები... ესეც გაივლის... ეჰ, ესეც ჯუნგლების კანონია.

— და ისინი? ჯუნგლების მეორე მტერი, წითური ძაღლები?
— ამპარტავნება.

სიტუტუცეა უმართავი სიავე, ძაღლებს რამაც გადააწყვეტინა, რომ ისინი არიან ჯუნგლების პატრონები...

— ბანდარლოგებს მარტო მოუღებ ბოლოს. ხოლო აქ კი, დიდი ნადირობა იწყება, მთელი ჯუნგლები ირაზმება აკელას მეთაურობით და გამარჯვებაში ლომის წილი შენ მიგიძღვის, რადგან გზას გამარჯვებისკენ სწორედ შენ აჩვენებ მაუგლის, ველურ ფუტკრებში რომ გადააჩეხინებ წითური ძაღლების დიდ ნაწილს.

— თვითმარქვიათა ავი მოდგმა მთლიანად ჩაიხოცა, მაგრამ ბევრისთვის ეს უკანასკნელი ნადირობა იყო... ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ, როგორც ყოველთვის, ასეთი ხალხი ბევრნი არიან.

— შენ მგლებს მოეხმარე, რადგან მაუგლიმ გთხოვა. მაგრამ რატომ ეუბნები აკელას: გიხაროდეს აკელა, რომ მე და ადამიანის შვილი შენს მხარეზე ვართ; თან კოჭლ ძაღლს უწოდებ მას და მგლებს არ თვლი შენს თანამოძმედ. რატომ?

— ხათხის ჯერ სარძევე ეშვებიც არ ამოსვლოდა, როცა მე ასობით წვიმები მინახავს და ყველაფერი თუ რამ ხდებოდა ჯუნგლებში, მაგრამ არასდროს წითურ ძაღლებს ამდენი არ გაუბედავთ — მგლები იბრძოდნენ თავისუფლებისთ-

ვის და დაიმსახურეს კიდევ. მაგრამ გახსოვდეს, ყოველი მარტოხელა მგელი ზურგით მოათრევს სიკვდილს, რადგან მათთვის უცნობია მთვლემარეს შიში, რომელ მათგანს შეუძლია ის, რაც შეუძლია კაას — იცინოს და ამავე დროს დარჩეს მწვერვალზე!

— აკელა ჯუნგლების გამარჯვებას ეწირება. დიდი ნადირობისას მგლები გმირულად იბრძვიან, და ბაგირაც და ბალუც, და სხვა დანარჩენიც... ბევრი სამუდამოდ რჩება ბრძოლის ველზე.

— ჰოო... ბორბალი ბრუნავს და გამარჯვების შემდეგ გაზაფხული მოდის — სიყვარულის დრო... ამ დროს, იცი რა ხდება ჯუნგლებში? როგორ ცემს ყოველის გული? როგორ იცვლიან სიტყვები ტყავს?!

... მშვენიერია ჩემი წიგნი ასეთ ჟამს, ახალი სიტყვების ჟამს, მშვიდია, მაგრამ აშლილი, დიდი პატიების ჟამი, როცა ვილაცაში შეყვარებულს, არც იცი, რაზე გწყდება გული.

— და აღარც შერხანი, მკვლელი ვეფხვი, მაუგლის მიერ ცეცხლით დამფრთხალი და კამეჩებს შორის მომწყვდეული და განგმირული, აღარ გახსოვს, ისე მირბიხარ სადღაც.

— კი, სადღაც შორეთში, სადღაც ოცნები-საკენ.

— და წიგნიც მთავრდება. მაუგლი მიდის, გაზაფხულით ატეხილი, თავის მოდგმას უნდა შეუერთდეს.

— ასეთია ჯუნგლების კანონი, ყველაფერი თავის წრეს უბრუნდება... ბაგირა მეორეჯერ შესწირავს კამეჩს მის გამოსასყიდად, რათა ჯუნ-

გლებმა გაუშვან ის.

— და ამაყად გადასძახებს ადამიანის შვილს,
რომ ბაგირას უყვარდა მაუგლი და ახლა ყველა
ვალი გადახდილია, ის თავისუფალია. ბალუც
უკანასკნელად ჩაიკრავს მკერდში თავის აღზ-
რდილს და შენც ეტყვი...

— იოლი არაა, ტყავის გამოცვლა.

— ის კი ტირის, ტირის ბაგირას გამოსყიდუ-
ლი, ბალუს აღზრდილი, მგლების განვრთნილი და
სიბრძნით დალოცვილი შენს მიერ.

შემდეგ თენდება დილა, და...

— და ყველაფერი გაივლის.

სანამ წიგნი არ დაიხურება და არ გადაიშლება
და ისევ იგივე, უკვე დავიწყებული შარშანდელი
წელიწადი.

— მაშ, მშვიდობით კაა, მომავალ წაკითხ-
ვამდე.

ჯ. შ.


დიალოგები, ბიბლიოპოლისში ჩავინერე, იმ საოცარ ქალაქში ყველა წიგნის გმირი სადაც თავს იყრის და სადაც წამიერად მეც აღმოვჩნდი, ქალაქის შესასვლელ კარიბჭესთან ასე ნაცნობი სიტყვები რომ ეწერა, რითიც სააქაო და საიქიო თუ შეიქმნა უთვალავი თავისი ფორმით, სტიქიონებით, სევდითა და სიხარულით, მუსიკითა და ფერით, სიბრძნითა და სიყვარულით, რასაც არა აქვს დასასრული.

დაე, მომავალ წაკითხვამდე, სამუდამოდ.

d. d. g.

დავით-დედო გოგიბედაშვილი **P.S.**

სარჩევი

აკაკი წერეთლის „გამზრდელი“	3
ვაჟა-ფშაველას	
„სტუმარ-მასპინძელი“	11
ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“	20
ედგარ ალან პოს „უილიამ უილსონი“	28
ერნესტ ჰემინგუეის	
„მოხუცი და ზღვა“	38
ჩარლზ დიკენსის	
„ოლივერ ტვისტის თავგადასავალი“	48
ევრიპიდეს „მედეა“	56
რედიარდ კიპლინგის	
„ჯუნგლების წიგნი“	63
	71